



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშლიკი“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე ტერეშელი

25 აპრილი 2025 წელი

N 23/36

ეგზ. N1

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტის 2025 წლის 28 თებერვლის N 006011/31
გადაწყვეტილების შესაბამისად, პროგრამის – „საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია“
2025 წლის 20 იანვრის შესაბამისობის აუდიტის N2/36 ანგარიშში შეტანილი ცვლილებებით

პროგრამის – „საჯარო სკოლების
მშენებლობა-რეაბილიტაცია“

2019-2022 წლების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	10
	1. შესავალი	11
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	11
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	11
	აუდიტის საგანი	11
	აუდიტის მასშტაბი	12
	აუდიტის კრიტერიუმები	12
	აუდიტის მიზანი	12
	აუდიტის მეთოდოლოგია	12
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	13
	2. აუდიტის მიგნებები	14
	2.1 პროექტირება-მშენებლობის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანება	14
	2.2 წინასწარ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები	15
	2.3 რეაბილიტაციის პროექტების ნაკლოვანებები	16
	2.4 ხელშეკრულებებში კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები	18
	2.5 პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების ხარვეზი	20
	2.6 ჯარიმების დაკისრების ნაკლოვანება	20
	2.7 ობიექტების დაზღვევის ნაკლოვანებები	21
	2.8 საბანკო გარანტიების წარმოდგენისას არსებული ხარვეზები	22
	2.9 სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და შესრულებული სამუშაოს ანგარიშების ნაკლოვანებები	23
	2.10 რეაბილიტაციის პროექტების კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზის ხარვეზები	24
	2.11 მშენებლობა-რეაბილიტაციის ხელშეკრულებების შეწყვეტის პროცესის ნაკლოვანება	25
	2.12 შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების განთავსების ხარვეზები	26
	2.13 მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესის ნაკლოვანებები	26
	2.14 პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულების და ანგარიშების ნაკლოვანებები	40
	დანართები	44
	საკონტაქტო ინფორმაცია	63

ტერმინები და შემოკლებები

ფონდი (მფფ) – სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.
სამინისტრო – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო.
სკოლა – საჯარო სკოლა.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამის „საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ 2019-2022 წლების შესაბამისობის აუდიტი, რის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

სკოლების პროექტირება-მშენებლობის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანება

ფონდი სკოლების პროექტირება-მშენებლობის შესყიდვის დროს სათანადოდ არ ახორციელებდა ბაზრის კვლევას, რაც არ შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი რეკომენდაციით განსაზღვრულ პრინციპებს. სკოლების პროექტირება-მშენებლობის შესყიდვა არასათანადოდ განხორციელებული ბაზრის კვლევის პირობებში, ქმნის საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად განკარგვის რისკს.

წინასწარი ანგარიშსწორების ნაკლოვანებები

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესში, ფონდის მიერ კონტრაქტორ კომპანიებზე ავანსების გაცემისას, ზოგიერთ შემთხვევაში არ არის დაცული ხელშეკრულების მოთხოვნა აღნიშნული კომპანიების მიერ ავანსების არგუმენტირებული მოთხოვნის შესახებ, რაც ზრდის გაცემული ავანსების არამიზნობრივად გამოყენების რისკს.

ფონდში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, კონტრაქტორ კომპანიებზე გაცემული ავანსების დაქვითვა ხორციელდება თითოეულ ეტაპზე წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან, ფონდის მიერ განსაზღვრული პროპორციით. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებების პირობებით განსაზღვრული ავანსების დაქვითვის პროპორციასთან დაკავშირებით, დოკუმენტის სახით შექმნილი მეთოდოლოგია ფონდს არ გააჩნია, რაც წარმოქმნის კონტრაქტორების მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომის რისკს.

ფონდმა ერთ შემთხვევაში ავანსი გასცა მიწოდებლის მიერ წარდგენილი ავანსის უზრუნველყოფის გარანტიის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა შეადგენდა 15 თვეს, ნაცვლად ხელშეკრულების პირობით განსაზღვრული 17 თვისა. ხელშეკრულების პირობის შესაბამისი გარანტია კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილია ავანსის გაცემიდან ერთი თვის შემდეგ.

რეაბილიტაციის პროექტების ნაკლოვანებები

საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტები, ხშირ შემთხვევაში, შედგენილია ფაქტობრივად შესასრულებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებთან მნიშვნელოვანი შეუსაბამოებით. შედეგად, საჭირო გახდა ხელშეკრულებებში არაერთჯერადი ცვლილებების განხორციელება, შესაბამისად, სახელშეკრულებო ღირებულებების და სამუშაოების დასრულების ვადების მნიშვნელოვნად გაზრდა, რამაც გამოიწვია ბენეფიციარებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების – რეაბილიტირებული სკოლების დაგვიანებით მიწოდება.

ხელშეკრულებებში კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, ფონდის მიერ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები არ ითვალისწინებს სკოლების რეაბილიტაციის პროცესში დემონტირებული, ვარგისი მასალების აღრიცხვას, დასაწყობებას და ბენეფიციარზე გადაცემას, რაც წარმოქმნის დემონტირებული, ვარგისი მასალების, დადგენილი ნორმების შეუსაბამოდ განკარგვის რისკს.

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები არ ითვალისწინებს ანგარიშსწორების დროს, შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დადასტურებას აკრედიტებული პირის მიერ, რაც მოქმედი კონტროლის მექანიზმებში ნაკლოვანებების არსებობის გამო, ზრდის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად განკარგვის რისკს.

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს კონტრაქტორი კომპანიების ვალდებულებას – ობიექტის დასრულების შემდგომ, სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველი დოკუმენტაციის, სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების შესაბამისად წარდგენის შესახებ, რაც შესრულებული სამუშაოების კონტროლის ნაკლოვანებას წარმოადგენს.

პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების ხარვეზი

ფონდმა პრეტენდენტის მიერ სატენდერო პირობებთან შეუსაბამო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის მიუხედავად, არ მისცა პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია და გაუფორმა 1,848,190 ლარის ღირებულების ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაში პირველივე ცვლილებისას, 89 დღის შემდეგ, წარმოდგენილია ხელშეკრულების შესაბამისი გარანტია.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმების დაკისრების ნაკლოვანებები

ხელშეკრულების პირობების არსებითი დარღვევის გამო ფონდმა კონტრაქტორებზე დასარიცხი ჯარიმის დაკისრების მიზნით სასამართლოს მიმართა ხელშეკრულებების შეწყვეტიდან 13-18 თვის შემდგომ, რაც თანხვედრაში არ არის საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვის პრინციპთან. საჯარო ფინანსების განკარგვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია უნდა მოქმედებდეს გაუმართლებელი დაფოვნების გარეშე და გამოიყენოს რეაგირების შესაბამისი მექანიზმები საჯარო ინტერესების დასაცავად. მხოლოდ ხანდაზმულობის ვადების დაცვა ვერ იქნება საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვის ინდიკატორი.

ობიექტების დაზღვევის ნაკლოვანებები

79 ხელშეკრულებიდან 5 შემთხვევაში ფონდმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისი. რაც არ შეესაბამება ხელშეკრულებების მოთხოვნებს.

საბანკო გარანტიების წარმოდგენის ხარვეზები

ზოგიერთ შემთხვევაში, ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების გამო, წარმოდგენილი გარანტიების მოქმედების ვადა და მათი მოცულობა არ შეესაბამება ხელშეკრულებით და ტენდერის პირობებით დადგენილ ვადას და მოცულობას.

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და შესრულებული სამუშაოს ანგარიშების ნაკლოვანებები

სკოლების მშენებლობის შერჩეული 33 ხელშეკრულებიდან 11 შემთხვევაში, ფონდმა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა. შესაბამისად, კონტრაქტორების მიერ შედგენილი და ფონდის მიერ მიღებული სატენდერო მოთხოვნების შეუსაბამო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ასევე: სკოლების მშენებლობებთან დაკავშირებით კონტრაქტორების მიერ ფონდში წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშები არ მოიცავს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობებს, რაც არ შეესაბამება ხელშეკრულებებით განსაზღვრულ მიღება-ჩაბარების წესს. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა სკოლების მშენებლობებთან დაკავშირებით კონტრაქტორების მიერ წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშების და მათ საფუძველზე ანაზღაურებული ხარჯების წარმომოხსნა და სისწორეში.

პროექტების ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარვეზები

იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობდა შესაბამისი სატენდერო მოთხოვნა, სკოლების რეაბილიტაციის პროექტების კონსტრუქციული ნაწილის მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან შესაბამისობა დამოწმებულია აკრედიტებული პირის მიერ, თუმცა იმავე სკოლების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა კონსტრუქციული ნაწილის ცვლილებების აკრედიტებული პირის მიერ დამოწმებას. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული ცვლილებები განხორციელებულია მხოლოდ პროექტის ავტორის, ფონდის ტექნიკური საბჭოს და ფონდის კონსტრუქტორის დასკვნის საფუძველზე, შესაბამისი აკრედიტებული პირის საექსპერტო დასკვნის გარეშე.

წარმოდგენილი განმარტებით, პროექტში ცვლილების დოკუმენტის ტექნიკურ ნაწილს ამზადებს მშენებელი, რაზეც თანხმობას იძლევა როგორც პროექტის ავტორი, ასევე ფონდის ტექნიკური სამსახურები. ამასთანავე, მოქმედი მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, საექსპერტო შეფასებისთვის საკმარისია მაგისტრის განათლება სამშენებლო კუთხით. სკოლების რეაბილიტაციის პროექტების კონსტრუქციული ნაწილის ცვლილებებს თან ახლავს ფონდის ტექნიკური საბჭოს დასკვნა, რომლის ყველა წევრს გააჩნია აღნიშნული ცენზი.

ხელშეკრულებების შეწყვეტის პროცესის ნაკლოვანება

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ხელშეკრულებების შეწყვეტის დროს, ფონდის მიერ სათანადო ინვენტარიზაციები არ ჩატარებულა; ასევე ახალ კონტრაქტორებთან ხელშეკრულებების გაფორმებამდე პერიოდში, აქტივების

მოვლა-შენახვაზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირები არ განისაზღვრა. აღნიშნული გარემოებები წარმოქმნის აქტივების დაზიანებისა და მითვისების რისკებს.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების განთავსების ხარვეზები

ზოგიერთ შემთხვევაში კონტრაქტორებთან გაფორმებული საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტები, ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის განთავსებული, რაც არ შეესაბამება ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მოთხოვნას.

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ნაკლოვანებები

ქვემო ქართლის რეგიონის 5 სკოლის რეაბილიტაციის ნაკლოვანებები:

ფონდმა სოფლების: ჯანდარის, ნორიოს და გამარჯვების სკოლების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გამოავლინა ბიუჯეტიდან თანხების ზედმეტად ანაზღაურების ფაქტები – 1,362,877 ლარის ოდენობით და საქმე გადასცა სამართალდამცავ ორგანოს. გენერალური პროკურატურის გამომიებით ფორმა N2-ებში შესრულებულად ნაჩვენები და ანაზღაურებულია რეალურთან შედარებით 2,144,830 ლარით მეტი თანხა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დოკუმენტაციის შემოწმებით, ფონდის მიერ ინვენტარიზაციით გამოვლენილთან შედარებით, დამატებით დადგინდა მნიშვნელოვანი შეუსაბამოები, რამაც ჯამში 707,418 ლარი შეადგინა.

რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების სკოლების რეაბილიტაციაზე ახალი კონტრაქტორების მიერ შედგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშებში, ზოგიერთ შემთხვევაში ასახული მოცულობები და მათზე ბიუჯეტიდან ანაზღაურებული თანხები ფონდის მიერ ერთხელ უკვე დადასტურებული და ანაზღაურებული იყო პირველი კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშების საფუძველზე. შედეგად, შეწყვეტილი კონტრაქტების ფარგლებში, ქალაქ რუსთავის N25 და N26, სოფლების: ნორიოს და გამარჯვების სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ხელმეორედ განხორციელებულ 89 სახის სამუშაოზე ბიუჯეტიდან ანაზღაურებულია 847,187 ლარი (მათ შორის, რუსთავის N25 და N26 სკოლებზე – 592,722 ლარი).

ამასთანავე, რუსთავის N25 და N26 სკოლებთან დაკავშირებით, ფონდის მიერ წარმოდგენილი განმარტებით „ფონდს არ მიუღია რაიმე ზარალი, რომლის ანაზღაურებაც ვერ მოხერხდა მსგავსი რისკების დასაზღვევად ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხებით“, რაც იმავე განმარტებით ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სასამართლოს გზით მოთხოვნილი ჯარიმები (343,094 ლარი) და ზიანის ასანაზღაურებელი თანხები (2,949,981 ლარი), დაკავებულ სარეზერვო თანხებთან ერთად (337,812 ლარი) აჭარბებს ახალი კონტრაქტორის მიერ ხელმეორედ განხორციელებულ სამუშაოებზე ანაზღაურებულ თანხებს.

შეწყვეტილი ხელშეკრულებების საპროექტო დოკუმენტაცია შეიცავდა ისეთ მნიშვნელოვან ხარვეზებს როგორებიცაა, დაპროექტების ეტაპზე ზოგიერთი აუცილებელი სახის სამუშაოების მოცულობების გაუთვალისწინებლობა ან ზოგიერთი სახის სამუშაოების არარეალური გაზრდილი მოცულობებით

გათვალისწინება, რაც ცხადყოფს, რომ მითითებული სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერებში შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და პროექტების სავარაუდო ღირებულებები არ შეესაბამებოდა რეალობას. აღნიშნულმა კი, სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში გამოიწვია პროექტების ღირებულებების ზრდა, მათი განხორციელების ვადების გაჭიანურება და შედეგად, ბენეფიციარებს პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება წინასწარ განსაზღვრულ ვადებში არ მიეწოდათ.

რუსთავის N25 სკოლის ბრტყელი გადახურვის სამუშაოებისთვის ფონდმა 189,055 ლარი არაეკონომიურად გაწია.

რუსთავის N25 და N26 სკოლების სამუშაოებისთვის კონტრაქტორზე გაცემული საავანსო თანხების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი საბანკო გარანტიების ვალდებულებების დაუსაბუთებელი შემცირების შედეგად ფონდმა საბანკო დაწესებულებებიდან ვერ გამოითხოვა 335,436 ლარის ლიკვიდური აქტივი და შესაბამისად არ მიმართა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის ანგარიშზე. აღნიშნული თანხიდან 279,976 ლარი გამოიქვითა ფონდის მიერ დაკავებული და კონტრაქტორისთვის გადასახდელი სარეზერვო თანხების კატეგორიიდან, ხოლო 55,460 ლარი დღემდე ირიცხება დებიტორული დავალიანების ნაშთად და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდის მიერ მისი ამოღებისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები გატარებული არ იყო. თუმცა, აუდიტის მიმდინარეობისას, ფონდის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2024 წლის 11 აპრილს სასამართლოში წარდგენილია სასარჩელო განცხადება, აღნიშნული თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით. სარეზერვო თანხები ნაცვლად კონტრაქტორისთვის გამოქვითვისა, უნდა გამოყენებულიყო შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის დასარიცხი ჯარიმის ნაწილის ასანაზღაურებლად.

ამასთანავე, ფონდის მიერ საგარანტიო ვალდებულებებიდან მიღებული 601,380 ლარი, არ არის ასახული სახელმწიფო ბიუჯეტის 2022 წლის შესრულების ანგარიშში. აღნიშნული თანხა ბიუჯეტის შემოსულობების ანგარიშზე 2022 წლის ნაცვლად მიმართულია 2023 წლის 6 თებერვალს;

დაბა ურეკის სკოლის დეტალური პროექტის მომზადებისა და მშენებლობის ნაკლოვანებები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, შპს „იუ თი ჯი“ და შპს „აღმაშენებელი ქუთაისს“ ჯამურად მიღებული აქვთ 4,477,200 ლარის ოდენობის ავანსი, სადაც არ არის დაცული ხელშეკრულებების პირობა მიმწოდებლების მიერ ავანსის არგუმენტირებული მოთხოვნის შესახებ. აღნიშნული ავანსების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ცხრა ანგარიშიდან, ფონდმა გაცემული ავანსის დაქვითვა განახორციელა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, სულ – 69,173 ლარის ოდენობით;

შპს „იუ თი ჯი“-ს მიერ ურეკის სკოლის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა გარკვეული ხარვეზებით, რაშიც ფონდის მიერ გადახდილია 169,920 ლარი;

შპს „აღმაშენებელი ქუთაისის“ მიერ არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულების ცვლილების შესაბამისი, ვადაგაგრძელებული ხელშეკრულების უზრუნველყოფისა და წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიები, შესაბამისად, 371,200 ლარზე და 2,227,000 ლარზე, თუმცა არსებული გარანტიები გამოთხოვილია მათი მოქმედების ვადებში.

შპს „აღმაშენებელი ქუთაისთან“ ხელშეკრულება შეწყდა კონტრაქტორის მიერ სამუშაოების შეუსრულებლობის გამო, რისი მიზეზიც გახდა კონტრაქტორის ფინანსური პრობლემები. აღსანიშნავია, რომ სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებული პრობლემები ფიქსირდება 2022 წლის ივლისის დასაწყისიდან. კერძოდ, მონიტორინგის ანგარიშების თანახმად, კონტრაქტორს სამშენებლო მოედანზე ვერ შეჰქონდა მასალები და ვერ იხდიდა დასაქმებული პერსონალის ხელფასებს; თუმცა კონტრაქტორს 2022 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მიღებული აქვს 2,627,200 ლარის ოდენობის ავანსი. შესრულებული სამუშაოების ანგარიშების თანახმად, იმავე თარიღისთვის შესრულებული აქვს 1,714,515 ლარის ღირებულების სამუშაოები. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ 912 685 ლარი კონტრაქტორის მიერ არ იყოს გამოყენებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფლების: ბუკისციხის, ზომღეთის და სამების სკოლების რეაბილიტაციის ნაკლოვანებები:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფლების: ბუკისციხის, ზომღეთის და სამების სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ფონდის მიერ მიჩნეულია დამაკმაყოფილებლად და მიმწოდებელთან გაფორმებულია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, თუმცა სამუშაოების მიწოდების თავდაპირველად განსაზღვრული 6-თვიანი ვადა, გაგრძელდა 13 თვით. აღნიშნულის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარვეზები. კერძოდ, ხარჯთაღრიცხვები არასწორად ან საერთოდ არ ითვალისწინებდა გარკვეულ სამუშაოებს. ერთმანეთს არ შეესაბამება ზოგიერთი საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მოცულობა. ფონდის განმარტებით, სხვაობები გამოწვეულია საპროექტო მოცულობების შეუსაბამობით ფაქტობრივ მოცულობებთან, თუმცა საპროექტო დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებების არარსებობის გამო, აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ხარჯთაღრიცხვების სისწორეში.

ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ფონდის მიერ ჩატარებული შესრულებული სამუშაოების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია, რომ კონტრაქტორის მიერ შესრულებულად ნაჩვენები და ფონდის მიერ ანაზღაურებული 3,356,837 ლარის ღირებულების სამუშაოებიდან, ფაქტობრივად შეუსრულებელი იყო 110,025 ლარის ღირებულების სამუშაოები, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმების მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს. ფონდის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის და განმარტების თანახმად, აღნიშნული თანხით შემცირდა კონტრაქტორის მიერ წარდგენილი შესრულებული სამუშაოების მოცულობა.

საბიუჯეტო რესურსების დაგეგმვის, შესრულების და ანგარიშგების ნაკლოვანებები

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის (25 07 01) სამუშაოვადიანი სამოქმედო გეგმები წლების განმავლობაში არ დგებოდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, რამაც ოთხივე წელს განაპირობა პროგრამისთვის დამტკიცებული ასიგნებების დაუსაბუთებლობა. შესაბამისად, წლიურ ბიუჯეტებში დამტკიცებული მნიშვნელოვანი საბიუჯეტო რესურსების მიუხედავად, ცალკეულ წლებში ვერ განხორციელდა დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლების შესრულება.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1. სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს
სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, სკოლების რეაბილიტაციის პროცესში დემონტირებული, ვარგისი მასალების, დადგენილი ნორმების შეუსაბამოდ განკარგვის გამორიცხვის მიზნით, შესაბამისი ხელშეკრულებების პირობებით განსაზღვროს კონტრაქტორი კომპანიების ვალდებულება, დემონტირებული, ვარგისი მასალების აღრიცხვის და ბენეფიციარზე გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტების ფონდისთვის წარდგენის შესახებ.

რეკომენდაცია N2. სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს
სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად განკარგვის რისკის შემცირების მიზნით, განიხილოს კონტრაქტორებთან შესაბამისი აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ ანგარიშსწორების პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობა.

რეკომენდაცია N3. სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს
სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, რეაბილიტაციის/მშენებლობის პროექტების კონსტრუქციული ნაწილის ან/და მასში შეტანილი ცვლილებების შესაბამისობის დადასტურების მიზნით, სათანადო კონტროლის მექანიზმის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს სამშენებლო-სარეაბილიტაციო ობიექტის უსაფრთხოების ინტერესის დაცვის გათვალისწინებით, კანონმდებლობასა და მიზანშეწონილობაზე დაყრდნობით შეფასების საფუძველზე.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2019-2022 წლების საქმიანობა პროგრამა „საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის“ ფარგლებში, შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამა „საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია“, მათ შორის:

- ბიუჯეტირება;
- შესყიდვის პროცედურები;
- პროექტირება;
- ხელშეკრულების პირობების შესრულება;
- ექსპერტიზები.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამა „საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის“ ფარგლებში 2019-2022 წლებში განხორციელებული საქმიანობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის 2021 წლის 9 თებერვლის Nს-12 ბრძანება სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ჩაბარების და თანმდევი პროცედურების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
- სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 24 მაისის Nს-59 ბრძანება სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობისა და თანმდევი პროცედურების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- ა(აიპ) – მშენებლობის შემფასებელთა კავშირის „მეთოდური ცნობარი“;
- სხვა კრიტერიუმები (მითითებულია ძირითად ტექსტში).

აუდიტის მიზანი

- დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- შემოწმება;
- ხელახალი გაანგარიშება;
- ანალიტიკური პროცედურები;
- ინტერვიუ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ფონდი ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის, ფონდის სამეთვალყურეო საბჭოსა და სამინისტროს წინაშე.

ფონდის მიზნებია:

- ა) მუნიციპალიტეტების გრძელვადიანი ინსტიტუციური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა;
- ბ) ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრადი გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- გ) ადგილობრივი, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროში ინვესტირების ხელშეწყობა;
- დ) თავისი ფუნქციების ფარგლებში, ადგილობრივი, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი 2019 წლიდან ახორციელებს პროგრამას „საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ (საბიუჯეტო კოდი 25 07 01). პროგრამის ფარგლებში 2019-2022 წლებში გაფორმებულია 139 ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმავე პერიოდში გადახდილია 344,768,000 ლარი (იხ. ცხრილი N1):

ცხრილი N1. ინფორმაცია აუდიტის ფარგლებში შესწავლილი ხელშეკრულებების შესახებ (ლარი)

წელი	გაფორმებული ხელშეკრულებები			შერჩეული ხელშეკრულებები		
	გადახდა	რაოდენობა	სკოლები	გადახდა	რაოდენობა	სკოლები
2019	36 825 000	59	59	20 729 562	28	28
2020	96 493 000	59	69	69 751 015	41	51
2021	152 500 000	18 ¹	21	123 351 405	9	12
2022	58 950 000	3 ²	5	43 286 835	1	2
	344 768 000	139	154	257 118 817	79	93

¹ 2021 წელს გაფორმებული 18 ხელშეკრულებიდან, ერთი ხელშეკრულება (ერთი სკოლა - დაბა ურეკი) წარმოადგენს 2019 წელს შეწყვეტილი ხელშეკრულების ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების ახალი ტენდერით გაგრძელებას.

² 2022 წელს გაფორმებული ხელშეკრულებები (რომლებიც მოიცავს ხუთ სკოლას), წარმოადგენს წინა პერიოდში შეწყვეტილი (სოფელი ჩანახჩი - შეწყდა 2019 წელს, სოფლები: ყარსგურიში, ჭუბერი, ჯანდარი და ნორიო - შეწყდა 2020 წელს) ხელშეკრულებების ახალი ტენდერით გაგრძელებას.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 პროექტირება-მშენებლობის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანება

კრიტერიუმები: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით,³ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავებისას, სხვა საკითხებთან ერთად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები;

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის მიხედვით,⁴ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ყოველი კონკრეტული შესყიდვის განხორციელებამდე, კერძოდ, ყოველი ელექტრონული ტენდერის გამოცხადებამდე, უნდა განახორციელონ ბაზრის კვლევა სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის, ჯანსაღი კონკურენციის განვითარების, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით.

ფაქტობრივი გარემოება:

აუდიტის ფარგლებში შემოწმდა პროექტირება-მშენებლობის 33 ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვის პროცედურები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით ფონდის მიერ განხორციელებული ბაზრის კვლევა ხასიათდება ნაკლოვანებებით. კერძოდ, ფონდს, ზემოთ მითითებული შესყიდვების 90%-ზე მეტ შემთხვევაში, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით ბაზრისად გამოყენებული აქვს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მისთვის მიწოდებული ანალოგიური შესყიდვის წინასწარი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულებები,⁵ თუმცა სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებში არ არის მოცემული მსჯელობა/ანალიზი – რატომ არ იქნა ფონდის მიერ გამოყენებული ამავე ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე სააგენტოს მიერ ჩატარებული ტენდერების ფარგლებში ვაჭრობის შედეგად შემცირებული ღირებულებები, რომლებზეც საბოლოოდ ხელშეკრულებები გაფორმდა.

მაგალითად: ფონდის მიერ 9 ტენდერში შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ბაზისად გამოყენებულ იქნა სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის (NAT180009095) სატენდერო განცხადებით განსაზღვრული სავარაუდო ღირებულება - 2,256,280 ლარი. ფონდის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებში არ არის დოკუმენტირებული აღნიშნული ღირებულების ბაზისად აღების ანალიზი. აღსანიშნავია, რომ NAT180009095 ტენდერის ფარგლებში, პრეტენდენტთა შეთავაზებები იყო - 2,187,500 ლარი და 2,099,999 ლარი, ხოლო სახელშეკრულებო ფასი - 2,187,482 ლარი.

დასკვნა

ფონდი სკოლების პროექტირება-მშენებლობის შესყიდვის დროს სათანადოდ არ ახორციელებდა ბაზრის კვლევას, რაც არ შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი რეკომენდაციით განსაზღვრულ პრინციპებს. სკოლების პროექტირება-მშენებლობის შესყიდვა არასათანადოდ განხორციელებული ბაზრის კვლევის პირობებში, ქმნის საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად განკარგვის რისკს.

³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

⁴ რეკომენდაციები მოცემულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

⁵ მაგალითად: გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის სკოლის მშენებლობა (NAT180009095).

2.2 წინასწარ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი 1: ფონდის მიერ სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების თანახმად, მიმწოდებელ კომპანიებზე გასაცემი ავანსის ოდენობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემსყიდველი, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე. ამასთანავე, ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან, ფონდში დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, ხორციელდება საავანსო თანხის დაქვითვა, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პროპორციით.

ფაქტობრივი გარემოებები: სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესში, ფონდის მიერ კონტრაქტორ კომპანიებზე ავანსების გაცემისას, ზოგიერთ შემთხვევაში არ არის დაცული ხელშეკრულების პირობა, აღნიშნული კომპანიების მიერ ავანსების არგუმენტირებული მოთხოვნის შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფონდში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, კონტრაქტორ კომპანიებზე გაცემული ავანსების დაქვითვა ხორციელდება თითოეულ ეტაპზე წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან, ფონდის მიერ განსაზღვრული პროპორციით, სამუშაოების 80%-ის შესრულებამდე. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში⁶ გამოყენებულია განსხვავებული მიდგომა და მიმწოდებლების წერილობითი მიმართვის საფუძველზე,⁷ სამუშაოების 80%-ის შესრულებამდე⁸ ავანსები სრულად დაკავებული არ არის⁹ (იხ. დანართი N1). აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებების პირობებით განსაზღვრული და პრაქტიკაში გამოყენებული ავანსების დაკავების პროპორციასთან დაკავშირებით, ფონდს დოკუმენტის სახით შექმნილი რაიმე სახის შიდა ინსტრუქცია ან მეთოდოლოგია არ აქვს შემუშავებული.

დასკვნა

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესში, ფონდის მიერ კონტრაქტორ კომპანიებზე ავანსების გაცემისას, ზოგიერთ შემთხვევაში არ არის დაცული ხელშეკრულების მოთხოვნა აღნიშნული კომპანიების მიერ ავანსების არგუმენტირებული მოთხოვნის შესახებ, რაც ზრდის გაცემული ავანსების არამიზნობრივად გამოყენების რისკს.

ფონდში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, კონტრაქტორ კომპანიებზე გაცემული ავანსების დაქვითვა ხორციელდება თითოეულ ეტაპზე წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან, ფონდის მიერ განსაზღვრული პროპორციით. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებების პირობებით განსაზღვრული ავანსების დაქვითვის პროპორციასთან დაკავშირებით დოკუმენტის სახით შექმნილი მეთოდოლოგია ფონდს არ გააჩნია, რაც წარმოქმნის კონტრაქტორების მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომის რისკს.

კრიტერიუმი 2: ხელშეკრულების შესაბამისად,¹⁰ მიმწოდებლის არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელი იყო საავანსო ანგარიშსწორება საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული, შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების

ვადა არ უნდა ყოფილიყო 17 თვეზე ნაკლები, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან.

ფაქტობრივი გარემოება: კონტრაქტორმა წარმოადგინა ავანსად გასაცემი თანხის შესაბამისი გარანტია, რის საფუძველზეც გაიცა ავანსი – 369,640 ლარის ოდენობით, თუმცა წარმოდგენილი გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენდა 15 თვეს, ნაცვლად – 17 თვისა. ხელშეკრულების პირობების შესაბამისი გარანტია წარმოდგენილია ავანსის გაცემიდან ერთი თვის შემდეგ.¹¹

დასკვნა

ფონდმა ერთ შემთხვევაში ავანსი გასცა მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ავანსის უზრუნველყოფის გარანტიის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა შეადგენდა 15 თვეს, ნაცვლად ხელშეკრულების პირობით განსაზღვრული 17 თვისა. ხელშეკრულების პირობის შესაბამისი გარანტია კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილია ავანსის გაცემიდან ერთი თვის შემდეგ.

2.3 რეაბილიტაციის პროექტების ნაკლოვანებები

კრიტერიუმები: სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების¹² სტანდარტული პირობის თანახმად, მიმწოდებელს უნდა მოემზადებინა უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო დოკუმენტაცია, სადაც არ გამოვლინდებოდა ხარვეზები და შესრულებული იქნებოდა მაღალხარისხოვნად.

სატენდერო დოკუმენტაციის¹³ თანახმად, სკოლების რეაბილიტაციის პროცესში, სადემონტაჟო სამუშაოების დროს მიღებული სამშენებლო ნარჩენების გატანა უნდა განხორციელდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ მითითებულ ადგილზე.

ფაქტობრივი გარემოებები: ფონდი სკოლების რეაბილიტაციას ახორციელებდა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე – საპროექტო მომსახურების, ხოლო მეორე ეტაპზე – სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვას.

შპს „სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიის“ მიერ მომზადებულ პროექტებს გააჩნდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, მაგალითად: ერთ შემთხვევაში დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იყო სპორტული მოედნის მშენებლობა, მაშინ როდესაც სკოლის ტერიტორიაზე არსებობდა ახლად აშენებული სპორტული მოედანი და ა.შ. აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაცია იხ. ცხრილებში: N2 და N3.

⁶ აუდიტისთვის შერჩეული 79 ხელშეკრულებიდან – 16 შემთხვევაში.

⁷ კონტრაქტორების წერილობითი თხოვნა შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან გარკვეული საჭიროებების გამო, მოცემულ ეტაპზე ავანსის არდაკავების შესახებ.

⁸ ავანსი დაკავებულია შესრულებული სამუშაოების შემდგომი ან ბოლო ანგარიშიდან.

⁹ ზოგიერთ შემთხვევაში ავანსი არ არის დაქვითული ცალკეული შესრულების მოცულობებიდან, თუმცა შემდგომ შესრულებებში დაქვითულია შესაბამისი გაზრდილი მოცულობით.

¹⁰ NAT200011581 ტენდერის საფუძველზე, შპს „ინ-სის“ და შპს „ქალაქპროექტის“ ამხანაგობასთან გაფორმებული, ხელშეკრულება N GOG/ET/CW-344, 26/11/2020, მუხლი 7.4.

¹¹ სს „ბაზისბანკის“ 2021 წლის 22 თებერვლის N129730-1 გარანტია.

¹² ხელშეკრულების მე-8 მუხლი.

¹³ საჯარო სკოლების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის ზოგადი სპეციფიკაციების მუხლი 2.1.1.

ცხრილი N2. მაგალითები პროექტების ფაქტობრივ გარემოებებთან შეუსაბამობის შესახებ

სკოლის დასახელება	პროექტით გათვალისწინებული სამუშაო	პროექტიდან სამუშაოს ამოღების საფუძველი
სოფელ გამარჯვების სკოლა	ცენტრალური გათბობის ახალი საქვაბის მშენებლობა	სკოლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ახლად აშენებული ცენტრალური გათბობის საქვაბი.
სოფელ ნორიოს სკოლა	ცენტრალური გათბობის ახალი საქვაბის მშენებლობა	სკოლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ახლად აშენებული ცენტრალური გათბობის საქვაბი.
სოფელ რუფოტის საჯარო სკოლა	არსებული ღია სპორტული მოედნის დემონტაჟი და მის ადგილზე ახალი მოედნის მოწყობა	არსებობდა ახალი მოწყობილი, კარგ მდგომარეობაში მყოფი სპორტული მოედანი.
ახალქალაქის N3 სკოლა	გაზსადენის ქსელის მოწყობა; შენობის ფასადის დათბუნების და მოპირკეთების სამუშაოები	არსებობდა მოწყობილი გაზსადენის ქსელი; შენობის ფასადის დათბუნების და მოპირკეთების სამუშაოები შესრულებული იყო.

ცხრილი N3. მაგალითები პროექტებსა და მათ საფუძველზე შედგენილ ხარჯთაღრიცხვებს შორის შეუსაბამობების შესახებ

სკოლის დასახელება	პროექტით გათვალისწინებული სამუშაო	ხარჯთაღრიცხვით (მოცულობათა უწყისით) სამუშაოს მოცულობა
სოფელ გამარჯვების სკოლა	ვინილის იატაკის მოწყობა	ხარჯთაღრიცხვა არ ითვალისწინებდა ვინილის იატაკის აუცილებელ ელემენტს; თვითსწორებადი იატაკის მოწყობას.
სოფელ ქვედა საზანოს სკოლა	კედლების გამლიერება-არმირება შიგა და გარე მხრიდან	კედლების გამლიერება-არმირება, მხოლოდ გარე მხრიდან.
სოფელ ცხრაწყაროს სკოლა	ერთსართულიანი შენობების დემონტაჟი - 742 კუბ.მ	ერთსართულიანი შენობების დემონტაჟი - 944 კუბ.მ.
ქალაქ ქუთაისის N23 სკოლა	ერთსართულიანი შენობების დემონტაჟი - 0 კუბ.მ	ერთსართულიანი შენობების დემონტაჟი - 155 კუბ.მ.
სოფელ ქვედა სიმონეთის სკოლა	ერთსართულიანი შენობების დემონტაჟი - 392 კუბ.მ	ერთსართულიანი შენობების დემონტაჟი - 615 კუბ.მ.

შპს „სამეცნიერო საპროექტო ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიის“ მიერ მნიშვნელოვანი უზუსტობებით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედეგად, საჭირო გახდა მიმწოდებელ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არაერთჯერადი ცვლილებების განხორციელება და სამუშაოების დასრულების ვადების მნიშვნელოვანი გაგრძელება.

ამასთანავე, შპს „სამეცნიერო საპროექტო ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიის“ მიერ მომზადებული, ყველა სკოლის რეაბილიტაციის საპროექტო ხარჯთაღრიცხვა, სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად მიღებული ნარჩენების ტრანსპორტირებას ითვალისწინებდა 20 კილომეტრზე. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლიდან ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოს მიერ სპეციალურ ნაგავსაყრელამდე სხვადასხვა სოფელში თანაბარი მანძილის არსებობა შეუძლებელია, აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა რეაბილიტაციის ხარჯთაღრიცხვების სისწორეში.

დასკვნა

საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტები, ხშირ შემთხვევაში, შედგენილია ფაქტობრივად შესასრულებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებთან მნიშვნელოვანი შეუსაბამობებით. შედეგად, საჭირო გახდა ხელშეკრულებებში არაერთჯერადი ცვლილებების განხორციელება, შესაბამისად, სახელშეკრულებო ღირებულებების და სამუშაოების დასრულების ვადების მნიშვნელოვნად გაზრდა, რამაც გამოიწვია ბენეფიციარებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების – რეაბილიტირებული სკოლების დაგვიანებით მიწოდება.

**2.4 ხელშეკრულებებში
კონტროლის
მექანიზმების
ნაკლოვანებები**

კრიტერიუმი 1: მშენებლობის შემფასებელთა კავშირის „მეთოდური ცნობარის“¹⁴ თანახმად, ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის თუ აუცილებელია შენობის ელემენტების დაშლა, წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარებისას უნდა დასაბუთდეს ასეთი სამუშაოს აუცილებლობა, უნდა შედგეს დაშლილი ელემენტების და მასალების სრული ნუსხა მათი ვარგისიანობის მითითებით. მასალები, რომლებიც არ გამოიყენება მშენებლობაში, დაზუსტებული ჩამონათვალის მიხედვით გადაეცემა დამკვეთს.

ფაქტობრივი გარემოება: სკოლების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ხარჯთაღრიცხვები დემონტირებული, ვარგისი მასალების აღრიცხვას და დასაწყობებას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, რეაბილიტაციის ხელშეკრულებებით არ რეგულირდება აღნიშნული მასალების ბენეფიციარზე გადაცემის საკითხი.

დასკვნა

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, ფონდის მიერ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები არ ითვალისწინებს სკოლების რეაბილიტაციის პროცესში დემონტირებული, ვარგისი მასალების აღრიცხვას, დასაწყობებას და ბენეფიციარზე გადაცემას, რაც წარმოქმნის დემონტირებული, ვარგისი მასალების, დადგენილი ნორმების შეუსაბამოდ განკარგვის რისკს.

**რეკომენდაცია N1: სსიპ –
საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდს**

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, სკოლების რეაბილიტაციის პროცესში დემონტირებული, ვარგისი მასალების, დადგენილი ნორმების შეუსაბამოდ განკარგვის გამორიცხვის მიზნით, შესაბამისი ხელშეკრულებების პირობებით განსაზღვროს კონტრაქტორი კომპანიების ვალდებულება, დემონტირებული, ვარგისი მასალების აღრიცხვის და ბენეფიციარზე გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტების ფონდისთვის წარდგენის შესახებ.

კრიტერიუმი 2: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის¹⁵ თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

ფაქტობრივი გარემოება:

ფონდის ხელშეკრულებები, სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ანგარიშსწორების დროს, არ ითვალისწინებს შესრულებული

¹⁴ მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მეთოდური ცნობარის მე-4 - მე-12 მუხლები.

¹⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დადასტურებას აკრედიტებული პირის მიერ. ხელშეკრულებების შესრულების კონტროლს ახორციელებენ მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინჟინერი და პროექტის მენეჯერი, თუმცა აუდიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა აღნიშნული კონტროლის მექანიზმის ნაკლოვანებები. კერძოდ, ხელშეკრულებების შეწყვეტის შემთხვევაში, უკვე შესრულებულად ნაჩვენები, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით დადასტურებული და ანაზღაურებული სამუშაოებისა და საკონტროლო აზომვებით დადგენილი ფაქტობრივი მდგომარეობის ურთიერთშედარებით, ფონდის მიერ გამოვლენილია მნიშვნელოვანი შეუსაბამოები. მაგალითად, მხოლოდ NAT200015650 ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების¹⁶ ფარგლებში, შესრულებულად ნაჩვენები, ანაზღაურებული, მაგრამ ფაქტობრივად შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულებამ 110,025 ლარი შეადგინა.¹⁷ ანალოგიური მდგომარეობაა ზოგიერთი სხვა შეწყვეტილი ხელშეკრულების შემთხვევაშიც.¹⁸

დასკვნა

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები არ ითვალისწინებს ანგარიშსწორების დროს, შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დადასტურებას აკრედიტებული პირის მიერ, რაც მოქმედი კონტროლის მექანიზმებში ნაკლოვანებების არსებობის გამო, ზრდის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად განკარგვის რისკს.

რეკომენდაცია N2: სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად განკარგვის რისკის შემცირების მიზნით, განიხილოს კონტრაქტორებთან შესაბამისი აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ ანგარიშსწორების პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობა.

კრიტერიუმი 3: სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების¹⁹ თანახმად, შემსრულებელი წერილობით აცნობებს დამკვეთს ობიექტის დასრულების შესახებ და სავალდებულო წესით წარუდგენს სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველ დოკუმენტაციას.²⁰

ფაქტობრივი გარემოება: სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს კონტრაქტორი კომპანიების ვალდებულებას – ობიექტის დასრულების შემდგომ, სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველი დოკუმენტაციის, ფონდის აღმასრულებელი

¹⁶ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლების: ბუკისციხის, ზომლეთისა და სამეხის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, ხელშეკრულება GOG/ET/CW/345, 26/11/2020.

¹⁷ აღნიშნული თანხა შესაბამისად დაკორექტირდა - წარმოდგენილი განმარტების თანახმად, ზემოთ მითითებული თანხით შემცირდა კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების მოცულობა.

¹⁸ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების: ჯანდარის, ნორიოს და გამარჯვების სკოლების, სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები (დეტალური ინფორმაცია მოცემულია აუდიტის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში).

¹⁹ 2021 წლის 9 თებერვლის Nს-12 ბრძანება „სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ჩაბარების და თანმდევი პროცედურების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

²⁰ ფარული სამუშაოების აქტებს, სამუშაოთა წარმოების ჟურნალებს, მშენებლობის ნებართვას, საშემსრულებლო ნახაზებს, საბოლოო გადახდის სერტიფიკატს და სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველ სხვადასხვა დოკუმენტაციას.

დირექტორის ბრძანების შესაბამისად წარდგენის შესახებ. შესაბამისად, კონტრაქტორი კომპანიები მშენებლობა-რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველ დოკუმენტაციას სრულყოფილად არ წარადგენენ. აღნიშნულის გამო, მიმდინარე აუდიტის ფარგლებში, ფონდმა ვერ წარმოადგინა სამუშაოთა წარმოების ჟურნალები, რაც კონტრაქტორების მიერ ფონდში სავალდებულოდ წარსადგენი ერთ-ერთი დოკუმენტია.

დასკვნა

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს კონტრაქტორი კომპანიების ვალდებულებას – ობიექტის დასრულების შემდგომ, სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველი დოკუმენტაციის, სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების შესაბამისად წარდგენის შესახებ, რაც შესრულებული სამუშაოების კონტროლის ნაკლოვანებას წარმოადგენს.

2.5 პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების ხარვეზი

კრიტერიუმი: ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის²¹ მიხედვით, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება ხელშეკრულების დადებამდე და თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

ფაქტობრივი გარემოებები: ფონდის მიერ 2020 წლის 6 აგვისტოს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქვემო მაჩხანის სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი.²² ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ამხანაგობა შპს „ინ-სი“ და შპს „ქალაქპროექტი“. ხელშეკრულების გასაფორმებლად პრეტენდენტმა, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარადგინა, დაახლოებით, 5 თვეზე, ნაცვლად – 17 თვისა. თუმცა, ხელშეკრულებაში პირველივე ცვლილებისას, 89 დღის შემდეგ წარმოდგენილია ხელშეკრულების შესაბამისი გარანტია.

დასკვნა

ფონდმა პრეტენდენტის მიერ სატენდერო პირობებთან შეუსაბამო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის მიუხედავად, არ მისცა პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია და გაუფორმა 1,848,190 ლარის ღირებულების ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაში პირველივე ცვლილებისას, 89 დღის შემდეგ წარმოდგენილია ხელშეკრულების შესაბამისი გარანტია.

2.6 ჯარიმების დაკისრების ნაკლოვანება

კრიტერიუმი: ფონდსა და კონტრაქტორებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების²³ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება წყდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების არსებითი დარღვევების გამო, მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ჯარიმის სახით დაეკისრება შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 10%.

ფაქტობრივი გარემოება: ხელშეკრულებების პირობების არსებითი დარღვევის გამო, 7 ხელშეკრულებიდან, 3 ხელშეკრულება შეწყდა 2022 წლის სექტემბერში, 3 ხელშეკრულება – 2022 წლის დეკემბერში და ერთი ხელშეკრულება – 2023 წლის

²¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი და 34-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

²² NAT200011581.

²³ მე-13 მუხლის 13.4 პუნქტი.

თებერვალში. საჯარიმო სანქციების დაკისრების თაობაზე ფონდმა სასამართლოს მიმართა აუდიტის მიმდინარეობის დროს, 2024 წლის აპრილში (11, 16 და 18 რიცხვებში). ამდენად, მოცემული ხელშეკრულებების დარღვევის ფაქტებზე, ფონდის მხრიდან რეაგირება მოხდა: 2023 წლის თებერვალში შეწყვეტილ ხელშეკრულებაზე – 13 თვის შემდგომ, 2022 წლის დეკემბერში შეწყვეტილ ხელშეკრულებებზე – 16 თვის შემდგომ, ხოლო 2022 წლის სექტემბერში შეწყვეტილ ხელშეკრულებებზე – 18 თვის შემდგომ (იხ. ცხრილი N4). ფონდის განმარტებით, შეწყვეტილ ხელშეკრულებებზე მიმწოდებლების მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების გატარების ხანდაზმულობის ვადები არ იყო გასული.

ცხრილი N4. ინფორმაცია ხელშეკრულებით დასარიცხი საჯარიმო თანხების შესახებ (ლარი)

N	სკოლის დასახელება	შეუსრულებელი სამუშაოების მოცულობა	დასარიცხი ჯარიმა
1	ქალაქ რუსთავის N25 სკოლა	1,744,055	174,405
2	ქალაქ რუსთავის N26 სკოლა	1,686,886	168,688
3	სოფელ გამარჯვების სკოლა	3,378,102	337,810
4	სოფელ ნორიოს სკოლა	2,480,103	248,010
5	სოფელ ჯანდარის სკოლა	908,432	90,843
6	დაბა ურეკის სკოლა	5,166,046	516,604
7	სოფელ გორდის სკოლა	2,069,577	206,957
სულ ჯამი			1,743,317

დასკვნა

ხელშეკრულების პირობების არსებითი დარღვევის გამო ფონდმა კონტრაქტორებზე დასარიცხი ჯარიმის დაკისრების მიზნით სასამართლოს მიმართა ხელშეკრულებების შეწყვეტიდან 13-18 თვის შემდგომ, რაც თანხვედრაში არ არის საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვის პრინციპთან. საჯარო ფინანსების განკარგვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია უნდა მოქმედებდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე და გამოიყენოს რეაგირების შესაბამისი მექანიზმები საჯარო ინტერესების დასაცავად. მხოლოდ ხანდაზმულობის ვადების დაცვა ვერ იქნება საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვის ინდიკატორი.

2.7 ობიექტების დაზღვევის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მე-5 მუხლის შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დაწყების დღიდან, სამუშაოს მიწოდების საბოლოო ვადის დასრულებამდე, შემსყიდველისა და მიმწოდებლის სასარგებლოდ დააზღვიოს ობიექტი. ამავე მუხლით განსაზღვრულია მინიმალური სადაზღვევო დასაფარავი თანხები: ობიექტის დაზიანების კომპენსაციისათვის, მიმწოდებლის მანქანა-დანადგარების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, მესამე პირთა საკუთრების დაზიანებისათვის, მიმწოდებლის პერსონალის ტრავმისა და ფატალური შედეგის შემთხვევაში. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, წარმოადგინოს საქართველოში რეგისტრირებული შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისი.

სადაზღვევო პოლისის წარუდგენლობა ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს.²⁴

²⁴ რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხელშეკრულების მე-13 მუხლის პუნქტი 13.2.2.6.

ფაქტობრივი გარემოება: შესწავლილი 79 ხელშეკრულებიდან 5 შემთხვევაში ფონდმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისი (იხ. ცხრილი N5).

ცხრილი N5. ხელშეკრულებები, სადაც არ არის წარმოდგენილი შესაბამისი სადაზღვევო პოლისი

N	ტენდერის N	ხელშეკრულების N	კონტრაქტორი
1	NAT200012241	GOG/ET/CW/312	სს „სამშენებლო გაერთიანება „იმერეთი“
2	NAT210010706	GOG/ET/CW/467	შპს „სამშენებლო ჯგუფი“
3	NAT210010704	GOG/ET/CW/466	შპს „სამშენებლო ჯგუფი“
4	NAT200012729	GOG/ET/CW/315	შპს „მედმშენი“
5	NAT200010538	GOG/ET/CW/322	შპს „გრაფიტა“

დასკვნა

79 ხელშეკრულებიდან 5 შემთხვევაში ფონდმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისი. რის გამოც შეუსრულებელია ხელშეკრულების მოთხოვნები. შესაბამისად, მშენებლობის მსვლელობისას რისკის ქვეშ დგება სამშენებლო პოლიგონზე მობილიზებული ყველა ის ქონება, რომელიც ჩართულია სამშენებლო პროცესში (მათ შორის, სამშენებლო ობიექტი, სამშენებლო მასალა, სამუშაო ძალა, სპეცტექნიკა და სხვ.). ასევე რისკს ქმნის სამშენებლო სამუშაოების მსვლელობისას ზარალი, რომელიც შესაძლოა მიადგეს მესამე პირთა ქონებასა თუ ჯანმრთელობას. ამასთანავე, კონტრაქტორების მიერ სადაზღვევო პოლისების წარუდგენლობა შესაძლოა გამხდარიყო ხელშეკრულებების შეწყვეტის საფუძველი, რაც ფონდის მიერ არ განხორციელებულა.

2.8 საბანკო გარანტიების წარმოდგენისას არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის²⁵ შესაბამისად, წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია, ხოლო თუ ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200,000 ლარს, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. გარანტიის მოქმედების ვადები და მისი მოცულობა განსაზღვრულია სატენდერო განაცხადით და ხელშეკრულების პირობებით.

ხელშეკრულებების მოთხოვნების შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის და წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიების მოქმედების ვადა 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საბოლოო ვადას. ამასთანავე, ელექტრონული ტენდერის დოკუმენტაციით განსაზღვრულია ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მოცულობა, სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

ფაქტობრივი გარემოება: ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების გამო, კონტრაქტორების მიერ წარმოდგენილი გარანტიების მოქმედების ვადა და მოცულობა არ შეესაბამება სატენდერო და

²⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 34-ე და 35-ე მუხლები.

სახელშეკრულებო პირობებით დადგენილ ვადებს და მოცულობებს (შესაბამისი მაგალითები იხ. დანართებში: N2 და N2-1).

დასკვნა

ზოგიერთ შემთხვევაში, ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების გამო, წარმოდგენილი გარანტიების მოქმედების ვადა და მათი მოცულობა არ შეესაბამება ხელშეკრულებით და ტენდერის პირობებით დადგენილ ვადას და მოცულობას.

2.9 სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და შესრულებული სამუშაოს ანგარიშების ნაკლოვანებები

კრიტერიუმები:

- სკოლების მშენებლობასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის²⁶ თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია დამკვეთს წარუდგინოს ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- სკოლების მშენებლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების²⁷ თანახმად, სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღება-ჩაბარება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს ანგარიშის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის მოცულობის შესაბამისად; ასევე შესრულებული სამუშაოს დადასტურების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს მიწოდებული სამუშაოების მოცულობები ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

ფაქტობრივი გარემოებები:

- სკოლების მშენებლობის შერჩეული 33 ხელშეკრულებიდან 11 შემთხვევაში²⁸ ფონდმა, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა. თუმცა ყველა ხელშეკრულების ფარგლებში შედგენილია კონტრაქტორსა და ფონდს შორის გაფორმებული, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც აღნიშნულია, რომ დოკუმენტაცია აკმაყოფილებს სატენდერო პირობებს.
- სკოლების მშენებლობებთან დაკავშირებით კონტრაქტორების მიერ ფონდში წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშები არ მოიცავს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობებს. წარმოდგენილი განმარტებით, შესრულებული სამუშაოების შუალედური ანგარიშების ანაზღაურება ხდება სამშენებლო ნახაზების მიხედვით განსაზღვრული მთლიანი მოცულობებისა და ფაქტობრივი აზომვების საფუძველზე.

დასკვნა

სკოლების მშენებლობის შერჩეული 33 ხელშეკრულებიდან 11 შემთხვევაში, ფონდმა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა.

²⁶ სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2 - ტექნიკური დავალება, მუხლი 5.3.1.

²⁷ მუხლი 6 (შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი), პუნქტები 6.2.1 და 6.2.2.

²⁸ NAT190003045 (სოფელ ჰერეთისკარის), NAT190011268 (სოფელ ჩუნჩხას), NAT190010177 (სოფელ ორლოვკის), NAT190007556 (სოფელ დარჩელის), NAT190015409 (სოფელ ჯგალის), NAT190003512 (სოფელ წყალტუბოს), NAT190003516 (სოფელ არგვეთის), NAT200008220 (სოფელ საბირკენდის), NAT190016208 (სოფელ კურტლიარის), NAT190002932 (სოფელ პატარა მეჯვრისხევის), NAT190002933 (სოფელ ცოფის) საჯარო სკოლების პროექტირება-მშენებლობა.

შესაბამისად, კონტრაქტორების მიერ შედგენილი და ფონდის მიერ მიღებული სატენდერო მოთხოვნების შეუსაბამო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ასევე: სკოლების მშენებლობებთან დაკავშირებით კონტრაქტორების მიერ ფონდში წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშები არ მოიცავს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობებს, რაც არ შეესაბამება ხელშეკრულებებით განსაზღვრულ მიღება-ჩაბარების წესს. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა სკოლების მშენებლობებთან დაკავშირებით კონტრაქტორების მიერ წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშების და მათ საფუძველზე ანაზღაურებული ხარჯების წარმომოხსნასა და სისწორეში.

2.10 რეაბილიტაციის პროექტების კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზის ხარვეზები

კრიტერიუმი: უმეტეს შემთხვევაში, სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურებასთან დაკავშირებული ტენდერების პირობების²⁹ თანახმად, კონსტრუქციული დასკვნები შედგენილი უნდა იყოს აკრედიტებული სპეციალისტის (ექსპერტის) მიერ.

ფაქტობრივი გარემოება: იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობდა შესაბამისი სატენდერო მოთხოვნა, სკოლების რეაბილიტაციის პროექტების კონსტრუქციული ნაწილის მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან შესაბამისობა დამოწმებულია აკრედიტებული კომპანიის მიერ, თუმცა რეაბილიტაციასთან დაკავშირებული შესაბამისი ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ცვლილებების აკრედიტებული სპეციალისტის მიერ დამოწმებას. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული ცვლილებები განხორციელებულია მხოლოდ ავტორის, ფონდის ტექნიკური საბჭოს და ფონდის კონსტრუქტორის დასკვნის საფუძველზე, შესაბამისი აკრედიტებული პირის საექსპერტო დასკვნის გარეშე (მაგალითები იხ. დანართ N3-ში).

დასკვნა

იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობდა შესაბამისი სატენდერო მოთხოვნა, სკოლების რეაბილიტაციის პროექტების კონსტრუქციული ნაწილის მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან შესაბამისობა დამოწმებულია აკრედიტებული პირის მიერ, თუმცა იმავე სკოლების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა კონსტრუქციული ნაწილის ცვლილებების აკრედიტებული პირის მიერ დამოწმებას. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული ცვლილებები განხორციელებულია მხოლოდ პროექტის ავტორის, ფონდის ტექნიკური საბჭოს და ფონდის კონსტრუქტორის დასკვნის საფუძველზე, შესაბამისი აკრედიტებული პირის საექსპერტო დასკვნის გარეშე.

წარმოდგენილი განმარტებით, პროექტში ცვლილების დოკუმენტის ტექნიკურ ნაწილს ამზადებს მშენებელი, რაზეც თანხმობას იძლევა როგორც პროექტის ავტორი, ასევე ფონდის ტექნიკური სამსახურები. ამასთანავე, მოქმედი მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, საექსპერტო შეფასებისთვის საკმარისია მაგისტრის განათლება სამშენებლო კუთხით. სკოლების რეაბილიტაციის პროექტების კონსტრუქციული ნაწილის ცვლილებებს თან

²⁹ სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1 - შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მუხლი 1.2.3.

რეკომენდაცია N3: სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

ახლავს ფონდის ტექნიკური საბჭოს დასკვნა, რომლის ყველა წევრს გააჩნია აღნიშნული ცენზი.

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, რეაბილიტაციის/მშენებლობის პროექტების კონსტრუქციული ნაწილის ან/და მასში შეტანილი ცვლილებების შესაბამისობის დადასტურების მიზნით, სათანადო კონტროლის მექანიზმის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს სამშენებლო-სარეაბილიტაციო ობიექტის უსაფრთხოების ინტერესის დაცვის გათვალისწინებით, კანონმდებლობასა და მიზანშეწონილობაზე დაყრდნობით შეფასების საფუძველზე.

2.11 მშენებლობა-რეაბილიტაციის ხელშეკრულებების შეწყვეტის პროცესის ნაკლოვანება

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციის³⁰ თანახმად, შეწყვეტილ სამშენებლო სამუშაოებზე გათვალისწინებულია გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია, რაზეც დგება ცალკე აქტი, შესრულებული სამუშაოების ღირებულების და სამუშაოების შეწყვეტის მიზეზების მითითებით.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირი წარმოადგენს ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დანიშნულ, ასევე შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ მატერიალურად პასუხისმგებელ პირს.³¹

ფაქტობრივი გარემოება: კონტრაქტორების მიერ სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ხელშეკრულებების პირობების არსებითი დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში სამუშაოთა ზედამხედველმა უნდა შეადგინოს დოკუმენტი, რომელშიც შეფასებული იქნება შესრულებული სამუშაოები.

აუდიტის ფარგლებში შესწავლილი 79 ხელშეკრულებიდან, კონტრაქტორების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულება შეწყდა ხუთ შემთხვევაში. აღნიშნულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ფონდის მიერ არ ჩატარებულა შეწყვეტილი სამუშაოების ინვენტარიზაცია დადგენილი წესით.

ამასთანავე, ახალი ტენდერის საფუძველზე ხელშეკრულებების გაფორმება განხორციელდა ოთხიდან ხუთ თვემდე პერიოდში, რა დროსაც არსებული ქონების დაცვასა და მოვლა-შენახვაზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი განსაზღვრული არ ყოფილა.

დასკვნა

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ხელშეკრულებების შეწყვეტის დროს, ფონდის მიერ სათანადო ინვენტარიზაციები არ ჩატარებულა; ასევე ახალ კონტრაქტორებთან ხელშეკრულებების გაფორმებამდე პერიოდში, აქტივების მოვლა-შენახვაზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირები არ განისაზღვრა. აღნიშნული გარემოებები წარმოქმნის აქტივების დაზიანებისა და მითვისების რისკებს.

³⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-7 მუხლის მე-14 პუნქტი და 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-15 პუნქტი.

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი და 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

2.12 შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების განთავსების ხარვეზები

კრიტერიუმი: ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის³² თანახმად, ხელშეკრულების ეტაპობრივი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია სისტემის შესაბამის ველში ტვირთავს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და ასახავს ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციას (არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულების კონკრეტული ეტაპის შესრულებიდან/შეუსრულებლობიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციად ჩაითვლება ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან/შეუსრულებლობასთან, მათ შორის, მიღება-ჩაბარების აქტი.

ფაქტობრივი გარემოება: სკოლების მშენებლობის ხელშეკრულებების თანახმად, კონტრაქტორებმა პირველ ეტაპზე, წინასწარ განსაზღვრულ ვადაში უნდა მოამზადონ საპროექტო დოკუმენტაცია. აღნიშნულის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტი ფონდის მიერ უნდა განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

რამდენიმე სკოლის მშენებლობის შემთხვევაში,³³ კონტრაქტორებთან გაფორმებული საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტები, ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის განთავსებული.

დასკვნა

ზოგიერთ შემთხვევაში კონტრაქტორებთან გაფორმებული საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტები, ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის განთავსებული, რაც არ შეესაბამება ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მოთხოვნას.

2.13 მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესის ნაკლოვანებები

ქვემო ქართლის რეგიონში 5 სკოლის შეწყვეტილ ხელშეკრულებებზე გაწეული საბიუჯეტო ასიგნებების განკარგვის ხარვეზები

კრიტერიუმები:

ფონდის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ზოგადი პირობების შესაბამისი პუნქტით³⁴ დადგენილია პირობა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება წყდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების არსებითი დარღვევების გამო, სამუშაოთა ზედამხედველი ადგენს დოკუმენტს, რომელშიც შეფასებულია შესრულებული სამუშაო მიმწოდებლისათვის უკვე გადახდილი თანხების და დაუსრულებელ სამუშაოთა ღირებულების ნაწილის გამოკლებით. თუ საერთო თანხა, რომელიც ერგება შემსყიდველს, აღემატება თანხას, რომელიც ერგება მიმწოდებელს, განსხვავება ჩაითვლება დავალიანებად, რომელიც დაფარული უნდა იქნეს მიმწოდებლის მიერ.

³² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

³³ NAT190006506; NAT190009697; NAT190007098; NAT190007556; NAT190007097; NAT190010609.

³⁴ სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პუნქტი 13.4.

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ინვენტარიზაციის ჩატარების ინსტრუქცია³⁵ განსაზღვრავს, რომ გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციისას, ობიექტებზე, რომელთა მშენებლობაც იქნა შეწყვეტილი, უნდა შედგეს ცალკე აქტი, შესრულებული სამუშაოების ღირებულების და სამუშაოების შეწყვეტის მიზეზების მითითებით.

ხელშეკრულებების ზოგადი პირობების შესაბამისი პუნქტით,³⁶ მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს, რომელიც მოიცავს სამუშაოების ზედამხედველობას და პროექტის ზედამხედველობას, ასევე მიწოდებული სამუშაოს ხელშეკრულების დანართებთან შესაბამისობის დადგენას, ინსპექტირების დასკვნის შედგენას და შესრულებული სამუშაოების ან მისი ნაწილის მოცულობისა და ღირებულების დადგენას.

ფონდის სტრუქტურული ერთეულების დებულების³⁷ მიხედვით, პროექტების შეფასების სამსახური ახორციელებს სამსახურში შემოსული პროექტების შეფასებას, მათ შორის: ტექნიკური გადაწყვეტილებების, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური სპეციფიკაციების და სხვა სატენდერო დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმებას საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებთან, ასევე სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტებში შესატანი ცვლილებების განხილვას და დადასტურებას მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტთან ერთად.

კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ზოგადი პირობები³⁸ განმარტავს თეთრ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებლებზე წინასწარი ანგარიშსწორებით გაცემული არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხების დაკავების წესს. აღნიშნული გულისხმობს ასეთი შემთხვევისას თავდაპირველად არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხის დაქვითვას სრულად.

ფაქტობრივი გარემოებები

1. ბიუჯეტიდან ზედმეტად გაწეული ხარჯები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების: ჯანდარის, ნორიოს და გამარჯვების სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად კონტრაქტორთან გაფორმდა ხელშეკრულებები, საბოლოო ჯამური ღირებულებით – 11,764,590 ლარი.³⁹ ფონდმა 2022 წლის 19 აპრილის ინვენტარიზაციით გამოავლინა შესრულებული სამუშაოების მოცულობების ხელოვნურად გაზრდის და ბიუჯეტიდან თანხების ზედმეტად ანაზღაურების ფაქტები, რამაც ჯამში შეადგინა 1,362,877 ლარი. ფონდმა შესაძლო სამართალდარღვევის გამოძიების მიზნით 2022

³⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-15 პუნქტი.

³⁶ სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მე-8 პუნქტი.

³⁷ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2020 წლის 1 ოქტომბრის N5-72 ბრანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სტრუქტურული ერთეულების დებულებები: დანართი N7, მუხლი 2, „კ“ და „ტ“ ქვეპუნქტები.

³⁸ კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ზოგადი პირობების პუნქტი 6.9.

³⁹ 2020 წლის 24 დეკემბრის N GOG/ET/CW/367, 2020 წლის 24 დეკემბრის N GOG/ET/CW/368 და 2021 წლის 24 აგვისტოს N GOG/ET/CW/470 ხელშეკრულებები.

წლის ივლისში მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, ხოლო კონტრაქტორს ხელშეკრულებები შეუწყვიტა 2022 წლის სექტემბერში.⁴⁰

ხელშეკრულებები ითვალისწინებდა⁴¹ ხელშეკრულებების შეწყვეტის თარიღისთვის სამუშაოთა ზედამხედველის მიერ ისეთი დოკუმენტის შედგენას, რომელშიც შეფასებული იქნებოდა შესრულებული სამუშაოები მიმწოდებლისათვის უკვე გადახდილი თანხების და დაუსრულებელ სამუშაოთა ღირებულების ნაწილის გამოკლებით, რაც არ განხორციელებულა; ასევე არ დაანგარიშებულა საერთო თანხა, რომელიც ერგებოდა შემსყიდველს (ან მიმწოდებელს) და შესაბამის საბალანსო ანგარიშებზე არ არის აღრიცხული რეალური დავალიანება, რაც დაფარული უნდა ყოფილიყო მიმწოდებლის მიერ. ინვენტარიზაციის ჩატარება ასევე სავალდებულო იყო ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.⁴²

გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ფორმა N2-ებსა და გადახდის სერტიფიკატებში ხელოვნურად იყო გაზრდილი შესრულებული სამუშაოები. აღნიშნულის საფუძველზე კონტრაქტორს ჩაერიცხა 6,469,185 ლარი. სსიპ – ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული სამშენებლო-საინჟინრო დასკვნის თანახმად კი, სინამდვილეში კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 4,216,004 ლარს. შესაბამისად, სამუშაოების აქტებში დაფიქსირებულ თანხებსა და რეალურად შესრულებული სამუშაოების თანხებს შორის სხვაობამ 2,144,830 ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ფონდის ინვენტარიზაციით გამოვლენილი 1,362,877 ლარის გარდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დოკუმენტაციის შემოწმებით დამატებით გამოვლინდა მნიშვნელოვანი შეუსაბამოები: კერძოდ, ხელშეკრულებების შეწყვეტის თარიღისათვის სოფელ ჯანდარის სკოლის შესრულებული სამუშაოების ანგარიშებში სამუშაოთა ღირებულება გაზრდილი იყო 321,269 ლარით, სოფელ გამარჯვების სკოლაში – 264,702 ლარით და სოფელ ნორიოს სკოლაში – 121,447 ლარით, რაც ჯამში შეადგენს 707,418 ლარს. აღნიშნული სხვაობები შესაძლოა გამოწვეული იყოს შემდეგი გარემოებებით: ანაზღაურდა შეუსრულებელი სამუშაოები ან საჭირო გახდა დასრულებული სამუშაოების ხელახლა შესრულება (იხ. დანართები: N4, N5 და N6).

⁴⁰ სოფლების: ჯანდარისა და ნორიოს საჯარო სკოლების რეაბილიტაციის ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ კონტრაქტორს ეცნობა 2022 წლის 8 სექტემბრის N2531-გ წერილით, ხოლო სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის რეაბილიტაციის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ - 2022 წლის 26 სექტემბრის N2652-გ წერილით.

⁴¹ პუნქტი 13.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება წყდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების არსებითი დარღვევების გამო, სამუშაოთა ზედამხედველი ადგენს დოკუმენტს, რომელშიც შეფასებულია შესრულებული სამუშაო მიმწოდებლისათვის უკვე გადახდილი თანხების და დაუსრულებელ სამუშაოთა ღირებულების ნაწილის გამოკლებით. მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ჯარიმის სახით დაეკისრება შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 10%. ამ შემთხვევაში სამუშაოთა დასრულების ვადის გადაცილების ჯარიმა არ იქნება გამოყენებული. თუ საერთო თანხა, რომელიც ერგება შემსყიდველს, აღემატება თანხას, რომელიც ერგება მიმწოდებელს, განსხვავება ჩაითვლება დავალიანებად, რომელიც დაფარულ უნდა იქნეს მიმწოდებლის მიერ.

⁴² „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშებაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანება, მე-7 მუხლის მე-15 პუნქტი.

2. შეწყვეტილი კონტრაქტების ფარგლებში ხელმეორედ განხორციელებულ სამუშაოებზე ანაზღაურებული თანხები

ქალაქ რუსთავის N25 და N26 სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად კონტრაქტორს გაუფორმდა ხელშეკრულებები, ჯამურად – 8,598,641 ლარის ოდენობით.⁴³ ხელშეკრულების პირობების არსებითი დარღვევების გამო კონტრაქტორს შეუწყდა ხელშეკრულებები.⁴⁴ ხელშეკრულებების შეწყვეტის თარიღისთვის შესრულებელი სამუშაოების მოცულობებთან შედარებით, მოხდა ახალი სამუშაოების მოცულობების შემოტანა. კერძოდ, ფონდის საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამით N25 საჯარო სკოლის დარჩენილი სამუშაოების მოცულობა შეადგენდა 1,744,054 ლარს, ხოლო ახალ კონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრა 3,000,505 ლარის ოდენობით (მატება – 1,256,451 ლარი), ხოლო N26 სკოლის შემთხვევაში, დარჩენილი სამუშაოების მოცულობა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ აღირიცხა 1,686,886 ლარის ოდენობით, ხოლო ახალ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრა 3,036,848 ლარით, ანუ 1,349,962 ლარის მეტი ოდენობით, პირველ კონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან შედარებით. ხელშეკრულებები ითვალისწინებდა ხელშეკრულებების შეწყვეტის თარიღისთვის სამუშაოთა ზედამხედველის მიერ ისეთი დოკუმენტის შედგენას, რომელშიც შეფასებული იქნებოდა შესრულებული სამუშაოები მიმწოდებლისათვის უკვე გადახდილი თანხების და დაუსრულებელ სამუშაოთა ღირებულების ნაწილის გამოკლებით, რაც არ განხორციელებულა; ასევე არ დაანგარიშებულა საერთო თანხა, რომელიც ერგებოდა შემსყიდველს (ან მიმწოდებელს) და შესაბამის საბალანსო ანგარიშებზე არ არის აღრიცხული რეალური დავალიანება. ამასთანავე, ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულო იყო ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

პირველ კონტრაქტორთან ხელშეკრულებების შეწყვეტის თარიღისთვის შესრულებულად აღიარებული და ანაზღაურებული სამუშაოების ღირებულება, ახალ კონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ხელახლა სრული ან ნაწილობრივი მოცულობით არის გათვალისწინებული და ბიუჯეტიდან ხელმეორედ ანაზღაურებული, რაც ფონდის განმარტებით განპირობებულია პირველი კონტრაქტორის მიერ შესრულებული ცალკეული სახის სამუშაოების სხვადასხვა მიზეზით დაზიანებების და მათი ხელახლა შესრულების საჭიროებით, კერძოდ:

რუსთავის N26 სკოლის წყალმომარაგების სადგნოთა კედლების შეღებვის სამუშაოებზე პირველ კონტრაქტორს აუნაზღაურდა ფონდის მიერ შესრულებულად აღიარებული 6,300 კვ.მ.⁴⁵ სამუშაოს ღირებულება დღგ-ის ჩათვლით – 111,510 ლარი, თუმცა ახალ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ხელმეორედ არის შეტანილი წყალმომარაგების სადგნოთა კედლების შეღებვის სამუშაოები იმავე

⁴³ 2020 წლის 3 დეკემბრის N GOG/ET/CW/354, და 2020 წლის 2 დეკემბრის N GOG/ET/CW/349 ხელშეკრულებები.

⁴⁴ წერილი N3371-გ რუსთავის N 25 და N 26 საჯარო სკოლების რეაბილიტაციის ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ.

⁴⁵ პირველი ხარჯთაღრიცხვით, სულ შესაღებ ფართი შეადგენდა 7,580 კვ.მ-ს.

მოცულობით.⁴⁶ შედეგად, პირველი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 134,166 ლარის ნაცვლად, ორივე კონტრაქტით ბიუჯეტიდან გაწეულ იქნა 290,842 ლარის ხარჯი დღგ-ის ჩათვლით.⁴⁷

ანალოგიურად, ამავე სკოლის წყალმედვეი საღებავით ფასადის შეღების სამუშაოებზე პირველი კონტრაქტორისთვის ანაზღაურებული იყო მთლიანი სამუშაოების ღირებულების - 84.33% (ანუ 57,369 ლარი⁴⁸), თუმცა აღნიშნული სამუშაოების მთლიანი მოცულობა სრულადაა გათვალისწინებული ახალი კონტრაქტორის ხარჯთაღრიცხვაში და მისთვის ანაზღაურებულია 100,684 ლარი. სულ კი ფასადის შეღების სამუშაოებზე პირველი კონტრაქტით გათვალისწინებული 68,033 ლარის ნაცვლად, ორივე კონტრაქტორს ბიუჯეტიდან აუნაზღაურდა 158,053 ლარი, დღგ-ის ჩათვლით.

ასევე, რუსთავის N25 სკოლის წყალმემულსიური საღებავით კედლების ღებვის სამუშაოებზე პირველ კონტრაქტორისთვის 6,770 კვ.მ სამუშაოების შესრულებისთვის ანაზღაურებულმა თანხის მოცულობამ - 88,017 ლარი (დღგ-ის გარეშე) შეადგინა, ხოლო ამავე სამუშაოების განსახორციელებლად ახალ კონტრაქტორს აუნაზღაურდა 134,500 ლარი (დღგ-ის გარეშე), სულ შიდა კედლების ღებვის სამუშაოების ასანაზღაურებლად ბიუჯეტიდან, ნაცვლად პირველი კონტრაქტით გათვალისწინებული 112,931 ლარისა (დღგ-ის გარეშე), გაიწია 222,517 ლარის ხარჯი, (დღგ-ის ჩათვლით - 262,570 ლარის ხარჯი).

ამასთანავე, ამავე სკოლის წყალმემულსიური საღებავით ფასადის ღებვის სამუშაოებზე ფონდის მიერ შესრულებულად აღიარებული 3,465 კვ.მ ფართის სამუშაოებზე პირველ კონტრაქტორზე ანაზღაურებულია დღგ-ის ჩათვლით 73,606 ლარი, თუმცა აღნიშნული სამუშაოების ხელახლა შესრულებაზე ახალ კონტრაქტორს აუნაზღაურდა 94,240 ლარი (დღგ-ის ჩათვლით - 111 203 ლარი). ასევე: სოფელ ნორიოს სკოლის წყალმემულსიური საღებავით კედლების შეღების, შენობის ფასადის მოპირკეთების და ჭერის ქვეკონსტრუქციაზე აკუსტიკური ფილების მოწყობის სამუშაოების მნიშვნელოვან მოცულობებზე ფონდის მიერ სამუშაოები შესრულებულად არის აღიარებული და ბიუჯეტიდან პირველი კონტრაქტორისთვის ანაზღაურებულია დღგ-ის ჩათვლით 113,723 ლარი, 32,958 ლარი და 27,264 ლარი, თუმცა აღნიშნული სამუშაოების მოცულობები ხელახლაა გათვალისწინებული ახალი კონტრაქტორის ხარჯთაღრიცხვაში, მათი შესრულების ანგარიშებში და ასევე სრულად არის ანაზღაურებული ბიუჯეტიდან და ა.შ.

სკოლების რეაბილიტაციაზე ახალი კონტრაქტორების მიერ შედგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშებში, ზოგიერთ შემთხვევაში ასახული მოცულობები და მათზე ბიუჯეტიდან ანაზღაურებული თანხები ფონდის მიერ ერთხელ უკვე დადასტურებული და ანაზღაურებული იყო პირველი კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშების საფუძველზე. ამასთანავე, აღნიშნული ფაქტები ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ პირველი კონტრაქტორების მიერ წარმოდგენილი და ფონდის მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების ანგარიშები შეიცავდნენ

⁴⁶ როგორც პირველ, ასევე ახალ კონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში პროექტით გათვალისწინებული იყო სულ 7,580 კვ.მ-ის სამღებრო სამუშაოები.

⁴⁷ პირველ კონტრაქტორზე ანაზღაურებული - 111,510 ლარი+ ახალ კონტრაქტორზე ანაზღაურებული -179,331.68 ლარი.

⁴⁸ მთლიანი სამუშაოების მცულობის საერთო ფართიდან - 3,203 კვ.მ-დან 2,701 კვ.მ-ის ღირებულება.

მნიშვნელოვან უზუსტობებს შესრულებულად ნაჩვენები სამუშაოების მოცულობების და ხარისხის კუთხით. შედეგად, შეწყვეტილი კონტრაქტების ფარგლებში, ქალაქ რუსთავის N25, N26, სოფლების: ნორიოს და გამარჯვების სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ხელმეორედ განხორციელებულ 89 სახის სამუშაოზე ბიუჯეტიდან ანაზღაურებულია 847,187 ლარი (მათ შორის, N25 და N26 სკოლებზე – 592,722 ლარი).

ამასთანავე, რუსთავის N25 და N26 სკოლებთან დაკავშირებით, ფონდის მიერ წარმოდგენილი განმარტებით „ფონდს არ მიუღია რაიმე ზარალი, რომლის ანაზღაურებაც ვერ მოხერხდა მსგავსი რისკების დასაზღვევად ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხებით“, რაც იმავე განმარტებით ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სასამართლოს გზით მოთხოვნილი ჯარიმები (343,094 ლარი) და ზიანის ასანაზღაურებელი თანხები (2,949,981 ლარი), დაკავებულ სარეზერვო თანხებთან ერთად (337,812 ლარი) აჭარბებს ახალი კონტრაქტორის მიერ ხელმეორედ განხორციელებულ სამუშაოებზე ანაზღაურებულ თანხებს. დეტალური ინფორმაცია თითოეული ცალკეული შემთხვევის შესახებ იხ. დანართებში: N7, N8 და N9.

3. საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზები

საპროექტო კომპანიის მიერ სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებული იყო ხარვეზებით. პროექტებში ზოგიერთი აუცილებელი სამუშაო არ იყო გათვალისწინებული, ხოლო ზოგიერთი სამუშაო შეტანილი იყო საჭირო მოცულობებზე მეტი ოდენობებით. მაგალითად, სოფლების: გამარჯვების, ნორიოს და ჯანდარის სკოლების ხარჯთაღრიცხვებით დაგეგმილი იყო ვინილის იატაკების დაგება, თუმცა მისი თანმდევი სამუშაო, თვითსწორებადი იატაკის მოწყობა, არ იყო გათვალისწინებული; ასევე ნორიოს სკოლის კედლების ცემენტის ხსნარით შელესვის პოზიცია დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტებით, განსაზღვრული იყო 12,888 კვ.მ ფართობზე, თუმცა ხელშეკრულებაში შესული ცვლილებით, ფართობი დაზუსტდა და შემცირდა 4,168 კვ.მ-ით.

რუსთავის N25 და N26 სკოლების, ასევე სოფლების: ნორიოს, ჯანდარის და გამარჯვების სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები თავდაპირველად გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით 11 თვეში უნდა შესრულებულიყო, თუმცა ზემოაღნიშნული გარემოებების, ასევე კონტრაქტორების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად კონტრაქტების შეწყვეტისა და დარჩენილი სამუშაოების შესასრულებლად ახალი კონტრაქტების საჭიროების გამო, სკოლების სამუშაოები საშუალოდ 24 თვემდე დაგვიანებით დასრულდა. აღნიშნულმა, ინფლაციის პირობებში გამოიწვია, სამშენებლო მასალების და სარეაბილიტაციო სამუშაოების თანმდევი მომსახურების თითქმის ყველა პოზიციაზე ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა.

4. ერთჯერადი ფაქტორების გავლენა შეწყვეტილი ხელშეკრულებების ღირებულებებზე

რუსთავის N25 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით გამოვლინდა სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

- განსხვავებული სტანდარტით არის შესრულებული სხვა სკოლების ბრტყელი გადახურვის სამუშაოები, სადაც გამოყენებულია ერთი ან ორი

ჰიდროიზოლაციის ფენა,⁴⁹ რუსთავის N25 სკოლის შემთხვევაში კი, შესრულებულად არის ნაჩვენები ჰიდროიზოლაციის ოთხი ფენის მოწყობა. აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა ოთხი ფენის გამოყენების საჭიროებაში. გადახურვის დამატებითი 2 ფენის სამუშაოების მოწყობაზე კონტრაქტორისთვის გადახდილია 145,390 ლარი;

- გადახურვის მოწყობის სამუშაოებზე ფონდის პასუხისმგებელი პირის მიერ გაფორმებულ ფარული სამუშაოების აქტებში მითითებული თარიღი არ შეესაბამება შესრულებული სამუშაოების ანგარიშებში დაფიქსირებულ თარიღს. სახურავის ბურულის დემონტაჟის და მოწყობის სამუშაოების ცალკეულ სახეზე ფონდის მიერ წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტები არ შეიცავს სრულ ინფორმაციას შესრულებული სამუშაოების ზუსტი მოცულობების შესახებ, შესაბამის თარიღებში;
- სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალებით,⁵⁰ სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელზე უნდა განხორციელებულიყო შესაბამისი სამშენებლო ტექნიკით, თუმცა 1,686 ტონა სამშენებლო ნაგავი ნაჩვენებია, როგორც ხელით დატვირთული. სამშენებლო ტექნიკით 1 კუბ.მ-ის დატვირთვის ღირებულებად განსაზღვრული იყო 8 ლარი, ხოლო 1 კუბ.მ სამშენებლო ნაგვის ხელით დატვირთვაზე გადახდილია 52 ლარი. აღნიშნულის შედეგად, ფონდმა გაწია დღგ-ის ჩათვლით 43,665 ლარით მეტი ხარჯი.⁵¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსთავის N25 სკოლის ბრტყელი გადახურვის სამუშაოებისთვის ფონდმა 189,055 ლარი არაეკონომიურად გაწია.

- ამასთანავე, რუსთავის N25 სკოლის გადახურვის სამუშაოების კალკულაციის სხვა სამუშაოების კატეგორიაში, გადახურვის კვანძის 1კვ.მ მოწყობაზე, 0.08 ლარის ნაცვლად მითითებულია 8 ლარი, რის შედეგადაც სამუშაოების ღირებულება გაიზარდა დღგ-ის ჩათვლით 54,217 ლარის ოდენობით, თუმცა ფონდის განმარტებით, აღნიშნული გარემოების მიუხედავად, 1 კვ.მ სამუშაოს ღირებულება არ აღემატება საბაზრო ფასებს, რის დამადასტურებლადაც წარმოდგენილია სსიპ – ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ ანალოგიურ სამუშაოზე გაცემული დასკვნა.⁵²

5. საბანკო გარანტიების მართვის ხარვეზის გავლენა პროგრამის დაფინანსებაზე

ქალაქ რუსთავის N25 სკოლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ფონდმა კონტრაქტორ კომპანიას ავანსის სახით გადაურიცხა 1,921,000 ლარი, ხოლო კომპანიამ ფონდს წარუდგინა ავანსის სახით გადახდილი თანხის 50%⁵³ ღირებულების საბანკო გარანტიები, ჯამში – 960,500 ლარის ოდენობით.⁵⁴ ფონდმა 2021 წლის 15 ნოემბერს მიმართა გარანტორს, გარანტიებით ნაკისრი

⁴⁹ მაგალითად, სოფლების: ამამლოსა და ქერეს საჯარო სკოლების შემთხვევაში, რბილი სახურავის მოწყობა განხორციელებულია ორი ფენა ჰიდროსაიზოლაციო მასალით, ხოლო სოფელ ნორიოს სკოლის შემთხვევაში – ერთი ფენის მოწყობით.

⁵⁰ ქალაქ რუსთავის N 25 საჯარო სკოლის ტექნიკური დავალების დანართი N2.4, პუნქტი 2.1.1.

⁵¹ სამშენებლო ნაგვის ექსკავატორით დატვირთვის ხარჯსა (841 მ³ * 8 ლარი = 6,728 ლარი) და სამშენებლო ნაგვის ხელით დატვირთვის ხარჯს (843 მ³ * 52 ლარი = 43,733 ლარი) შორის სხვაობამ დღგ-ის გარეშე შეადგინა 37,005 ლარი, ხოლო დღგ-ის ჩათვლით - 43,665 ლარი.

⁵² დასკვნა N005005823.

⁵³ შემსყიდველი უფლებამოსილია, თეთრი სიის რეესტრის კონტრაქტორს მოსთხოვოს ავანსის უზრუნველყოფის გარანტია 50%-ის ოდენობით.

⁵⁴ N25 ს/სკ-ის სამუშაოების ავანსის უზრუნველსაყოფად 2020 წლის 7დეკემბრის N128767 და 2021 წლის 1 აპრილის N132042 საბანკო გარანტიები.

ვალდებულებების 613,078 ლარამდე შემცირების თხოვნით.⁵⁵ აღნიშნული თარიღისთვის კონტრაქტორისთვის ფონდის მიერ გადახდილი დაუკავებელი ავანსის ნაშთი შეადგენდა 947,079 ლარს. შესაბამისად, 334,001 ლარის ავანსი დარჩა გარანტიის გარეშე. აღსანიშნავია, რომ კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ფონდმა კონტრაქტორს ხელშეკრულება შეუწყვიტა 2022 წლის 5 დეკემბრიდან, რა დროსაც დაუკავებელი ავანსის ნაშთი შეადგენდა 769,327 ლარს. გამომდინარე იქიდან, რომ დაუკავებელი ავანსის თანხა აკარბებდა საგარანტიო თანხას, ფონდმა 156,249 ლარის ანაზღაურება საბანკო გარანტიის საშუალებით ვერ შეძლო.

ანალოგიური ხარვეზები გამოვლინდა ქალაქ რუსთავის N26 სკოლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, სადაც ფონდმა 179,187 ლარის⁵⁶ ანაზღაურება საბანკო გარანტიის საშუალებით ვერ შეძლო.⁵⁷

შედეგად, ფონდმა ორივე შემთხვევაში საბანკო დაწესებულებიდან ვერ გამოითხოვა 335,436 ლარის ლიკვიდური აქტივი და არ მიმართა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის ანგარიშზე. აღნიშნული თანხიდან 279,976 ლარი გამოიქვითა ფონდის მიერ დაკავებული და კონტრაქტორისთვის გადასახდელი სარეზერვო თანხების კატეგორიიდან, ხოლო 55,460 ლარი დღემდე ირიცხება დებიტორული დავალიანების ნაშთად და 31.12.2023 წლის მდგომარეობით, ფონდის მიერ მისი ამოღებისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები არ იყო გატარებული; თუმცა აუდიტის მიმდინარეობისას ფონდის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2024 წლის 11 აპრილს სასამართლოში წარდგენილია სასარჩელო განცხადება, აღნიშნული თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სოფელ გამარჯვების სკოლის რეაბილიტაციის კონტრაქტორი კომპანიის მიერ წარმოდგენილი საგარანტიო ვალდებულებებიდან ფონდის მიერ 2022 წელს სს „სადაზღვევო კომპანია „უნისონიდან“ და სს „სადაზღვევო კომპანია „არდიდან“ მოთხოვნილ იქნა შესაბამისი თანხები. აღნიშნულის საფუძველზე ფონდის საკუთარი სახსრების სახაზინო კოდზე სს „უნისონის“ მიერ 2022 წლის 10 ნოემბერს ჩაირიცხა საავანსო თანხის ნაწილი 380,301 ლარი, ხოლო სს „არდის“ მიერ 2022 წლის 30 ნოემბერს ამავე სახაზინო კოდზე ჩაირიცხა ხელშეკრულების შესრულების გარანტიის თანხა – 221,079 ლარი. აღნიშნული თანხები კი, ფონდის საკუთარი სახსრების სახაზინო ანგარიშიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სახაზინო კოდზე გადატანილია დავალიანებით, მხოლოდ 2023 წლის 6 თებერვალს.

დასკვნა

ფონდმა სოფლების: ჯანდარის, ნორიოს და გამარჯვების სკოლების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გამოავლინა ბიუჯეტიდან თანხების ზედმეტად ანაზღაურების ფაქტები – 1,362,877 ლარის ოდენობით და საქმე გადასცა სამართალდამცავ ორგანოს. გენერალური პროკურატურის გამოძიებით

⁵⁵ მუნიციპალური განვითარების ფონდის 2021 წლის 15 ნოემბრის N3405-გ წერილი.

⁵⁶ 2021 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით დაკავებული ავანსი შეადგენდა 1,177,674 ლარს, მათ შორის, უზრუნველყოფილი ავანსის თანხა – 161,674 ლარი. შეწყვეტის თარიღისთვის დაუკავებელი ნაშთი შეადგენდა 680,518 ლარს. საგარანტიო ვალდებულების დაუსაბუთებლად შემცირების გამო, ფონდმა გამოითხოვა მხოლოდ 501,331 ლარი.

⁵⁷ სულ 2021 წელს უზრუნველყოფილი საავანსო თანხების ნაშთებიდან ფონდს დაკავებული და შესაბამის საბალანსო ანგარიშებზე აღრიცხული ჰქონდა მხოლოდ 397,690 ლარი.

ფორმა N2-ებში შესრულებულად ნაჩვენები და ანაზღაურებულია რეალურთან შედარებით 2,144,830 ლარით მეტი თანხა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დოკუმენტაციის შემოწმებით, ფონდის მიერ ინვენტარიზაციით გამოვლენილთან შედარებით, დამატებით დადგინდა მნიშვნელოვანი შეუსაბამოები, რამაც ჯამში 707,418 ლარი შეადგინა.

რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების სკოლების რეაბილიტაციაზე ახალი კონტრაქტორების მიერ შედგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშებში, ზოგიერთ შემთხვევაში ასახული მოცულობები და მათზე ბიუჯეტიდან ანაზღაურებული თანხები, ფონდის მიერ ერთხელ უკვე დადასტურებული და ანაზღაურებული იყო პირველი კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშების საფუძველზე. შედეგად, შეწყვეტილი კონტრაქტების ფარგლებში, ქალაქ რუსთავის N25 და N26, სოფლების: ნორიოს და გამარჯვების სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ხელმეორედ განხორციელებულ 89 სახის სამუშაოზე ბიუჯეტიდან ანაზღაურებულია 847,187 ლარი (მათ შორის, ქალაქ რუსთავის N25 და N26 სკოლებზე – 592,722 ლარი).

ამასთანავე, რუსთავის N25 და N26 სკოლებთან დაკავშირებით, ფონდის მიერ წარმოდგენილი განმარტებით „ფონდს არ მიუღია რაიმე ზარალი, რომლის ანაზღაურებაც ვერ მოხერხდა მსგავსი რისკების დასაზღვევად ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხებით“, რაც იმავე განმარტებით ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სასამართლოს გზით მოთხოვნილი ჯარიმები (343,094 ლარი) და ზიანის ასანაზღაურებელი თანხები (2,949,981 ლარი), დაკავებულ სარეზერვო თანხებთან ერთად (337,812 ლარი) აჭარბებს ახალი კონტრაქტორის მიერ ხელმეორედ განხორციელებულ სამუშაოებზე ანაზღაურებულ თანხებს.

შეწყვეტილი ხელშეკრულებების საპროექტო დოკუმენტაცია შეიცავდა ისეთ მნიშვნელოვან ხარვეზებს, როგორებიცაა, დაპროექტების ეტაპზე ზოგიერთი აუცილებელი სახის სამუშაოების მოცულობების გათვალისწინებლობა ან ზოგიერთი სახის სამუშაოების არარეალური გაზრდილი მოცულობებით გათვალისწინება, რაც ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ მითითებული სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერებში შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და პროექტების სავარაუდო ღირებულებები არ შეესაბამებოდა რეალობას; აღნიშნულმა კი, სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში გამოიწვია პროექტების ღირებულებების ზრდა, მათი განხორციელების ვადების გაჭიანურება და შედეგად, ბენეფიციარებს პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება წინასწარ განსაზღვრულ ვადებში არ მიეწოდათ.

რუსთავის N25 სკოლის ბრტყელი გადახურვის სამუშაოებისთვის ფონდმა 189,055 ლარი არაეკონომიურად გაწია.

რუსთავის N25 და N26 სკოლების სამუშაოებისთვის კონტრაქტორზე გაცემული საავანსო თანხების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი საბანკო გარანტიების ვალდებულებების დაუსაბუთებელი შემცირების შედეგად, ფონდმა საბანკო დაწესებულებიდან ვერ გამოითხოვა 335,436 ლარის ლიკვიდური აქტივი და შესაბამისად არ მიმართა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის ანგარიშზე. აღნიშნული თანხიდან 279,976 ლარი გამოიქვითა ფონდის მიერ დაკავებული და კონტრაქტორისთვის გადასახდელი სარეზერვო თანხების

კატეგორიიდან, ხოლო 55,460 ლარი დღემდე ირიცხება დებიტორული დავალიანების ნაშთად და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდის მიერ მისი ამოღებისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები არ იყო გატარებული. თუმცა, აუდიტის მიმდინარეობისას, ფონდის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2024 წლის 11 აპრილს სასამართლოში წარდგენილია სასარჩელო განცხადება, აღნიშნული თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით. სარეზერვო თანხები ნაცვლად კონტრაქტორისთვის გამოქვითვისა, უნდა გამოყენებულიყო შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის დასარიცხი ჯარიმის ნაწილის ასანაზღაურებლად.

ამასთანავე, ფონდის მიერ საგარანტიო ვალდებულებებიდან მიღებული 601,380 ლარი, არ არის ასახული სახელმწიფო ბიუჯეტის 2022 წლის შესრულების ანგარიშში. აღნიშნული თანხა ბიუჯეტის შემოსულობების ანგარიშზე 2022 წლის ნაცვლად მიმართულია 2023 წლის 6 თებერვალს.

დაბა ურეკის სკოლის დეტალური პროექტის მომზადება და მშენებლობა

კრიტერიუმები: ხელშეკრულების⁵⁸ თანახმად, წინასწარი ანგარიშსწორების განსახორციელებლად, სხვა პირობებთან ერთად, საჭირო იყო მიმწოდებლის არგუმენტირებული მოთხოვნა, გაცემული ავანსის დაქვითვა კი განხორციელდებოდა ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან, შემსყიდველის მიერ ყოველ ეტაპზე განსაზღვრული პროპორციით.

ტენდერის პირობების⁵⁹ თანახმად, დეტალური პროექტის დამუშავება გულისხმობდა სრული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება.

ფაქტობრივი გარემოებები:

▪ შპს „იუ თი ჯი“-სთან ხელშეკრულება ითვალისწინებდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში 450 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებას და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. შპს „იუ თი ჯი“-ს წერილის საფუძველზე⁶⁰ გაცემულია ავანსი, სახელშეკრულებო ღირებულების 30%, 1,850,000 ლარის ოდენობით, სადაც არ არის დაცული ხელშეკრულების პირობა, მიმწოდებლის მიერ ავანსის არგუმენტირებული მოთხოვნის შესახებ. მიმწოდებელმა სამშენებლო სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაწყების თარიღიდან 10 თვის შემდეგ წარადგინა შესრულებული სამუშაოების პირველი ანგარიში⁶¹ 146,497 ლარის ოდენობით, საიდანაც ფონდმა ავანსი არ დაქვითა.

ფაქტობრივად, კონტრაქტორის მიერ მომზადებულ საპროექტო დოკუმენტაციაში, ფონდის მიერ გადახდილია 169,920 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის მომზადებაში აქტიურად იყვნენ ჩართული ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის სპეციალისტები,⁶² პროექტი შედგა გარკვეული ხარვეზებით, კერძოდ: შეუთავსებელი იყო საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილი ვერტიკალურ გეგმარებასთან.⁶³ ამასთანავე, პროექტი არ

⁵⁸ ხელშეკრულების მე-7.4 და მე-7.11 მუხლები.

⁵⁹ NAT190010609 შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის მუხლი 3.2, დანართი 2 - ტექნიკური დავალება.

⁶⁰ 2019 წლის 31 ივლისის N31/07-002 წერილი, რითაც წარმოდგენილია საავანსო თანხის გარანტია 1,850,000 ლარზე.

⁶¹ რაც ფაქტობრივად, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, აღმოჩნდა ასევე ბოლო ანგარიშში.

⁶² ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის 2021 წლის 21 იანვრის N381-ო ოქმი.

⁶³ სხვა ცვლილებებთან ერთად საჭირო გახდა შენობის კონსტრუქციული სიმაღლის 0.5 მ-ით გაზრდა.

ითვალისწინებდა დამცავი მოაჯირებისა და კედლების მოწყობას იმ პირობებში, როდესაც საპროექტო ტერიტორიის სამი მხრიდან მდებარეობდა არხი. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ მხარეს მდებარე არხიდან ნალექის პირობებში ტერიტორიაზე შემოდის წყალი.⁶⁴ აღნიშნული გარემოება დასტურდება იმითაც, რომ შპს „იუ თი ჯი“-სთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, უკვე ამოჭრილი 1.3 მეტრი სიღრმის ქვაბული, ახალი კონტრაქტის გაფორმებამდე აივსო წყლით, რომლის აღდგენის ხარჯებმა, წყლის ამოტუმბვის და დაზიანებული გრუნტის ამოღება-ტრანსპორტირების ჩათვლით, 19,000 ლარზე მეტი ოდენობით გაზარდა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება.

დაბა ურეკის სკოლის სამშენებლო სამუშაოები

კრიტიკუმი:

- ხელშეკრულების⁶⁵ თანახმად, წინასწარი ანგარიშსწორების განსახორციელებლად, სხვა პირობებთან ერთად, საჭირო იყო მიმწოდებლის არგუმენტირებული მოთხოვნა, გაცემული ავანსის დაქვითვა კი განხორციელდებოდა ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან, შემსყიდველის მიერ ყოველ ეტაპზე განსაზღვრული პროპორციით;
- ხელშეკრულების⁶⁶ თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გაგრძელებული ვადის ან/და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული ახალი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა, მინიმუმ, 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს გაგრძელებულ ვადას;
- ხელშეკრულების⁶⁷ თანახმად, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს, რომელიც მოიცავს სამუშაოების ზედამხედველობას და პროექტის ზედამხედველობას;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის⁶⁸ თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად მიღებული თანხები გამოიყენოს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „იუ თი ჯი“-სთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ტენდერის⁶⁹ საფუძველზე შპს „აღმაშენებელი ქუთაისთან“ გაფორმდა 7,424,000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება⁷⁰ დაბა ურეკის სკოლის მშენებლობის დარჩენილი სამუშაოების შესრულებაზე.

2021 წლის 15 ოქტომბერს გაცემულია ავანსი⁷¹ – 2,227,200 ლარი, ხოლო 2022 წლის 24 ივნისს – 400,000 ლარი,⁷² სადაც არ არის დაცული ხელშეკრულების პირობა,

⁶⁴ შპს „აღმაშენებელი ქუთაისის“ 2021 წლის 20 დეკემბრის N36 წერილი.

⁶⁵ ხელშეკრულების მე-7.4 და მე-7.11 მუხლები.

⁶⁶ ხელშეკრულების მუხლი 4.2.

⁶⁷ ხელშეკრულების მუხლი 8.1.

⁶⁸ მუხლი 21¹.

⁶⁹ NAT210013939 ტენდერი.

⁷⁰ 2021 წლის 23 სექტემბრის N GOG/ET/CW/481 ხელშეკრულება.

⁷¹ ავანსი გაიცა 2021 წლის 6 ოქტომბრის N APB/21-093507 გარანტიის საფუძველზე.

⁷² ავანსი გაცემულია 2022 წლის 20 ივნისის N APB 100306 გარანტიის საფუძველზე.

მიმწოდებლის მიერ ავანსის არგუმენტირებული მოთხოვნის შესახებ. შპს „აღმაშენებელი ქუთაისს“, ხელშეკრულების შეწყვეტამდე მიწოდებული აქვს შესრულებული სამუშაოების რვა ანგარიში. აღსანიშნავია, რომ მეექვსე შესრულებამდე, ანუ 2022 წლის 18 ივლისამდე, მუნიციპალური განვითარების ფონდს ავანსის დაქვითვა არ განუხორციელებია. სულ გაცემული 2,627,200 ლარიდან, ფონდს დაქვითული აქვს მხოლოდ 69,173 ლარი.

გაფორმებულ ხელშეკრულებაში 2022 წლის 26 იანვარს შევიდა ცვლილება და სამუშაოების შესრულების ვადა გაიზარდა 2023 წლის 23 სექტემბრამდე. შესაბამისად, კონტრაქტორს უნდა წარმოედგინა ხელშეკრულების უზრუნველყოფის და წინასწარი ანგარიშსწორების განახლებული გარანტიები, შესაბამისად, 371,200 და 2,227,000 ლარზე, რომელთა მოქმედების ვადა იქნებოდა 2023 წლის 22 ნოემბრამდე. აღნიშნული გარანტიები კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი არ არის, თუმცა არსებული გარანტიები გამოთხოვილია მათი მოქმედების ვადებში.

ამასთანავე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების ძირითადი ნაწილის შეუსრულებლობის მოტივით, 2023 წლის 6 თებერვლიდან შპს „აღმაშენებელი ქუთაისთან“ ხელშეკრულება შეწყდა. აღსანიშნავია, რომ სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებული პრობლემები ფიქსირდება 2022 წლის ივლისის დასაწყისიდან. კერძოდ, მონიტორინგის ანგარიშების⁷³ თანახმად, კონტრაქტორს სამშენებლო მოედანზე ვერ შეჰქონდა მასალები და ვერ იხდიდა დასაქმებული პერსონალის ხელფასებს, თუმცა კონტრაქტორს 2022 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მიღებული აქვს 2,627,200 ლარის ოდენობის ავანსი, შესრულებული სამუშაოების ანგარიშების თანახმად კი იმავე თარიღისთვის შესრულებული აქვს 1,714,515 ლარის ღირებულების სამუშაოები. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ სხვაობა – 912,685 ლარი,⁷⁴ კონტრაქტორის მიერ არ იყოს გამოყენებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, შპს „იუ თი ჯი“-ს და შპს „აღმაშენებელი ქუთაისს“ ჯამურად მიღებული აქვთ 4,477,200 ლარის ოდენობის ავანსი, სადაც არ არის დაცული ხელშეკრულებების პირობა მიმწოდებლების მიერ ავანსის არგუმენტირებული მოთხოვნის შესახებ. აღნიშნული ავანსების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ცხრა ანგარიშიდან, ფონდმა გაცემული ავანსის დაქვითვა განახორციელა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, სულ – 69,173 ლარის ოდენობით.

შპს „იუ თი ჯი“-ს მიერ ურეკის სკოლის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა გარკვეული ხარვეზებით, რაშიც ფონდის მიერ გადახდილია 169,920 ლარი.

შპს „აღმაშენებელი ქუთაისის“ მიერ არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულების ცვლილების შესაბამისი, ვადაგაგრძელებული ხელშეკრულების

⁷³ მონიტორინგის 2022 წლის 8 ივლისის, 11 ივლისის, 18 ივლისის, 8 აგვისტოს, 29 აგვისტოს, 28 სექტემბრის, 7 ოქტომბრის, 17 ოქტომბრის, 7 ნოემბრის, 28 ნოემბრის, 21 დეკემბრის ანგარიშები.

⁷⁴ 2 627 200 ლარი - 1714 515 ლარი - 912 685 ლარი.

უზრუნველყოფისა და წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიები, შესაბამისად, 371,200 ლარსა და 2,227,000 ლარზე, თუმცა არსებული გარანტიები გამოთხოვილია მათი მოქმედების ვადებში.

შპს „აღმაშენებელი ქუთაისთან“ ხელშეკრულება შეწყდა კონტრაქტორის მიერ სამუშაოების შესრულებლობის გამო, რისი მიზეზიც გახდა კონტრაქტორის ფინანსური პრობლემები. აღსანიშნავია, რომ სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებული პრობლემები ფიქსირდება 2022 წლის ივლისის დასაწყისიდან. კერძოდ, მონიტორინგის ანგარიშების⁷⁵ თანახმად, კონტრაქტორს სამშენებლო მოედანზე ვერ შეჰქონდა მასალები და ვერ იხდიდა დასაქმებული პერსონალის ხელფასებს; თუმცა კონტრაქტორს 2022 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მიღებული აქვს 2,627,200 ლარის ოდენობის ავანსი. შესრულებული სამუშაოების ანგარიშების თანახმად, იმავე თარიღისთვის შესრულებული აქვს 1,714,515 ლარის ღირებულების სამუშაოები. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ 912 685 ლარი⁷⁶ კონტრაქტორის მიერ არ იყოს გამოყენებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

სოფლების: ბუკისციხის, ზომლეთის და სამების სკოლების რეაბილიტაციის ნაკლოვანებები

კრიტერიუმები: სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების⁷⁷ თანახმად, მიმწოდებელს უნდა მოემზადებინა უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო დოკუმენტაცია, სადაც არ გამოვლინდებოდა ხარვეზები და შესრულებული იქნებოდა მაღალხარისხოვნად.

სკოლების რეაბილიტაციის ხელშეკრულების თანახმად, პროექტის ზედამხედველი, შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულების დანართებთან გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ახორციელებს შესრულებული სამუშაოს შემოწმებას, განიხილავს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტებს, აუცილებლობის შემთხვევაში ადგენს შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის ინსპექტირების აქტს, ამოწმებს კალენდარული გრაფიკის მიხედვით სამუშაოთა მიმდინარეობას, ამოწმებს ფარულ სამუშაოებს, ასეთის არსებობისას.

ფაქტობრივი გარემოებები: შპს „აღმაშენებელი ქუთაისის“ ხელშეკრულების⁷⁸ საფუძველზე უნდა შესრულებინა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლების: ბუკისციხის, ზომლეთის და სამების სკოლების რეაბილიტაცია. სამუშაოების მიწოდების თავდაპირველად განსაზღვრული 6-თვიანი ვადა,⁷⁹ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაგრძელდა 13 თვით, 2022 წლის 30 ივნისამდე.

ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენდა არასათანადოდ შედგენილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

⁷⁵ მონიტორინგის 2022 წლის 8 ივლისის, 11 ივლისის, 18 ივლისის, 8 აგვისტოს, 29 აგვისტოს, 28 სექტემბრის, 7 ოქტომბრის, 17 ოქტომბრის, 7 ნოემბრის, 28 ნოემბრის, 21 დეკემბრის ანგარიშები.

⁷⁶ 2 627 200 ლარი – 1714 515 ლარი = 912 685 ლარი.

⁷⁷ ხელშეკრულების მე-8 მუხლი.

⁷⁸ NAT200015650 ტენდერის საფუძველზე, 2020 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული N GOG/ET/CW/345 ხელშეკრულება.

⁷⁹ უნდა დასრულებულიყო 2021 წლის 27 მაისამდე.

კერძოდ, ხარჯთაღრიცხვები არასწორად ან საერთოდ არ ითვალისწინებდა გარკვეულ სამუშაოებს.⁸⁰

ერთმანეთს არ შეესაბამება, სოფლების: ბუკისციხის და სამების სკოლების ზოგიერთი საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მოცულობა⁸¹ (იხ. ცხრილი N6). ფონდის განმარტებით, სხვაობები გამოწვეულია იმით, რომ საპროექტო მოცულობები არ შეესაბამება ფაქტობრივ მოცულობებს, თუმცა საპროექტო დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებების არარსებობის გამო, აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ხარჯთაღრიცხვების სისწორეში.

ამავე დროს, ხელშეკრულების მე-8.2 მუხლით განსაზღვრული სამუშაოთა ზედამხედველი შეცვლილია ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების გარეშე.

ცხრილი N6. საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მონაცემებს შორის სხვაობა

სამუშაოს დასახელება	მოცულობა პროექტით ⁸²	მოცულობა ხარჯთაღრიცხვით	სხვაობა
სოფელ ბუკისციხის სკოლა			
ერთსართულიანი შენობების დემონტაჟი (კუბ.მ)	348	850	502
მე-3 კატეგორიის გრუნტის დამუშავება (ხარჯთაღრიცხვის მე-6.2 მუხლის მე-6 პუნქტი) (კუბ.მ)	250	1117	867
სოფელ სამების სკოლა			
დამხმარე შენობების თუნუქის სახურავის დაშლა (კვ.მ)	61	170	109
დამხმარე შენობების მოჭიმული ცემენტის იატაკის დემონტაჟი (კვ.მ)	41	162	121

ხელშეკრულების მიმდინარეობის ამსახველი მონიტორინგის ანგარიშების თანახმად, 2021 წლის აგვისტოდან დაფიქსირდა ჩამორჩენა წინასწარ განსაზღვრული კალენდარული გრაფიკიდან, რის გამოც 2021 წლის ბოლოს შესრულებული სამუშაოების მოცულობა სამივე სკოლაზე, საშუალოდ, მხოლოდ 35%-ს შეადგენდა. შედეგად, ფონდის წერილობითი გაფრთხილებების⁸³ შემდეგ მდგომარეობის უცვლელობის გამო, 2022 წლის 20 ოქტომბრიდან მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეწყვიტა ხელშეკრულება.⁸⁴ კონტრაქტორ კომპანიას ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაეკისრა ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 10%, 366,565 ლარის ოდენობით.⁸⁵

ხელშეკრულების პირობების თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, მგფ-ის მიერ ჩატარდა შესრულებული სამუშაოების ინვენტარიზაცია,⁸⁶ რის

